საერთო გაზეთი

№4 (781)
ოთხშაბათი
5 თებერვალი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

USAID კრიმინალური ორგანიზაციაა – დროა, ის მოკვდეს!

ერთად დგომით ავაშენოთ ის ქვეყანა, რომელიც თითოეული ქართველის გულში ცოცხლობს!

ფრაგმენტები საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის საპარლამენტო გამოსვლიდან

მივესალმები ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებს!

პატივცემულო სტუმრებო, მსურს ვისარგებლო შესაძლებლობით და კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს ჩემი მხარდაჭერისა და არჩევისთვის.

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გატარებული წლები ჩემთვის ძალიან ძვირფასია. რვა წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წევრობამ დიდი პოლიტიკური გამოცდილება შემძინა. ახალი წესით ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ საქართველო გახდა სრულფასოვანი საპარლამენტო რესპუბლიკა, განსაკუთრებული წარმატება მინდა ვუსურვო მეათე მოწვევის პარლამენტს.

მჯერა, რომ ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გაძლიერების ოთხი წელი. ჩვენი სამშობლო და ქართველი ხალხი დღეს სახელმწიფოებრიობის გამოცდის მნიშვნელოვან ეტაპს გადის. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, მდიდარი ისტორია, კულტურა, ქართველი ერის ღირსეული და მტკიცე ხასიათი, ის ფუნდამენტური ღირებულებებია, რომლებიც საქართველოს წინ ანთებული ლამპარივით მიუძღვის ამ რთულ და სახიფათო გზაზე.

ჩვენი წინაპრების გამოცდილებამ გვასწავლა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს უსამართლობასთან ბრძოლას უფლის, სამშობლოსა და საკუთარი თავის რწმენისთვის. ჩვენი პატარა, თუმცა ამაყი ერი სწორედ ამ პრინციპების დაცვამ გადაარჩინა და მოიყვანა დღემდე. თანაც ისე, რომ შეინარჩუნა საკუთარი ენა, დამწერლობა, კულტურა, სარწმუნოება, ადათ-სწესები და იდენტობა. მაშინ, როდესაც საქართველოს დამპყრობელი არაერთი უძლიერესი ერი დაინგრა და განადგურდა.

საბედნიეროდ, ამ რთულ პერიოდში ჩვენი სახელმწიფო და ქართველი ხალხი ერთსულოვანია, ერთად დგას საკუთარი ქვეყნის სადარაჯოზე. განსხვავებულობის მიუხედავად, ერთმანეთის გვერდში დგომით მტკიცედ იცავს საკუთარ სამშობლოს, როგორც ერთიან დიდ ოჯახს, რომელსაც საქართველო ჰქვია. სწორედ 26 ოქტომბრის არჩევნები იყო ნათელი დადასტურება იმისა, თუ სად დგას ქართველი ხალხი, რას იცავს და რას ნიშნავს მისთვის საქართველო. ამ დღეს ქართულმა საზოგადოებამ აირჩია მშვიდობა და განვითარება ტრადიციების, ღირებულებების, სარწმუნოების, ოჯახისა და ღირსების დაცვა. უარი უთხრა ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს იდენტობას და თვითმყოფადობას.

ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, საქართველო არაერთხელ გახდა უსამართლო თავდასხმის სამიზნე. ჩვენს სახელმწიფოს მოუწია დანის პირზე სიარული.

ჯერ არ გამქრალა ჩვენი ქვეყნის განადგურების საფრთხე. კვლავაც რჩებიან ანტიქართული ძალები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ საქართველოს დესტაბილიზაციისთვის...

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ომში ჩართვის, დესტაბილიზაციის და რევოლუციის არაერთ მცდელობას ჩვენმა სახელმწიფომ სიმტკიცით უპასუხა. ჩვენ შეიძლება ამ წლებს საქართველოს გადარჩენის პერიოდი ვუწოდოთ, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ დასრულებულა.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყნის გადარჩენაში მთავარი როლი სწორედ ქართველმა ხალხმა ითამაშა, ყველა კრიტიკულ მომენტში გვერდით გადადო ემოციები და განსაკუთრებული სიფრთხილით, სიბრძნითა და პატრიოტიზმით მიიღო გადაწყვეტილებები, გვერდში დაუდგა სახელმწიფოს და თავიდან აგვარიდა საქართველოს განადგურება.

ჩვენი ქვეყნის სამსახურში დაუღალავად ყოფნისთვის მსურს მადლობა გადავუხადო საქართველოს თავდაცვის ძალებს, უკლებლივ ყველა ჯარისკაცს, ასე ღირსებით და ამაყად რომ ატარებენ სამხედრო ფორმას.

თითოეულ პოლიციელს, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად რომ იცავენ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას და წესრიგს ქვეყანაში.

მადლობა მეხანძრე მაშველებს თავდაუზოგავი შრომისთვის.

დიდი მადლობა ღირსეულ პატრიოტ საჯარო მოხელეებს, რომლებიც პატიოსნად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და უზრუნველყოფენ სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებას.

მადლობა ექიმებს, რომლებიც ყოველდღიურად იბრძვიან ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად. განსაკუთრებული სითბო და სიყვარული მსურს გამოვხატო ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

მადლობა თითოეულ სპორტსმენს და კულტურის სფეროს წარმომადგენელს, ვინც საკუთარი გამარჯვებითა და წარმატებით აერთიანებს და აძლიერებს საქართველოს.

მადლობა თითოეულ იმ ადამიანს, ვინც საკუთარ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს და თავის წილ პატარა აგურს დებს ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში.

ორმაგი სტანდარტი, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში, ფაქტობრივად, ყოველდღიურობად იქცა, სამწუხაროდ, ზიანს აყენებს ევროპულ ღირებულებებსა და ევროპელი პარტნიორების რეპუტაციას.

სასიხარულოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდგომ დაიწყო ფსევდოლიბერალური წესრიგის ცვლილება მსოფლიოში. მე ამას დონალდ ტრამპის ეფექტს დავარქმევდი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე პროცესებმა და მისმა გამოძახილმა მთელ მსოფლიოში, კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართველი ხალხი, თუ რამდენად სწორ პოლიტიკასა და ღირებულებებს ატარებს ჩვენი სახელმწიფო.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი და სპორტის პოპულარიზაცია. უნდა გავზარდოთ განათლების როლი.

ვიზრუნოთ სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე იქნება ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.

მე ვაპირებ, წარმატებულ, ჩვენთვის საყვარელ სპორტსმენებსა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად არაერთი საინტერესო იდეის განხორციელებას, რომელთაც ახლო მომავალში გავაცნობ საზოგადოებას. ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს დემოგრაფიული საკითხები. ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე.

ამავე დროს, მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საპატრიარქოს და უშუალოდ პატრიარქს, იმ უდიდესი ღვაწლისთვის, რასაც მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებს ჩვენი ერის გადასარჩენად და გასამრავლებლად.

დასასრულს, მსურს, კვლავ დავუბრუნდეთ თავსმოხვეული ხელოვნური პოლარიზაციას. სამწუხაროდ, ამ პროცესში აქტიურად იყენებენ გულწრფელ და გულანთებულ არაერთ ახალგაზრდას. კარგად მახსოვს საკუთარი თავი, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი. ვიცი, რამდენად მოჭარბებულია ემოციები ამ პერიოდში, რამდენად იმპულსური მეამბოხე და ფეთქებადი ხარ, როგორი მძაფრია შეფასებები და განწყობა ამა თუ იმ საკითხის მიმართ. სწორედ ახალგაზრდების მსგავს ემოციებზე თამაშობენ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეები.

ჩემთვის წარმოუდგენელია, არსებობდეს ქართველი ადამიანი, ვინც არ ეთანხმება ჩვენს ქვეყანაში მშვიდობას, სტაბილურობას, ჩვენი ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვას, ქვეყნის განვითარებას და კეთილდღეობას. თუკი არსებობს ასეთი ადამიანი, ის არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

ძვირფასო ახალგაზრდებო, ჩვენ, ქართველები, განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, წარმოუდგენელია, ვიყოთ ერთმანეთის მტრები. ჩვენ გვაქვს ერთი ენა, ერთი კულტურა, ერთი ისტორია, ერთი სამშობლო, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. თუკი ჩვენ ეს ყველაფერი გვაერთიანებს, როგორ შეიძლება, სხვა დანარჩენ საკითხებში განსხვავებული შეხედულებების გამო უარი ვთქვათ ერთმანეთზე.

ჩვენ ერთად დგომით შეგვიძლია, საბოლოოდ ავაშენოთ ერთიანი ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც თითოეული ქართველის გულში ცოცხლობს.

გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და დამოუკიდებელ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

დიდი მადლობა.

სასაცილოა, საჭირალი რომ არ იყოს...

ფრიად კარგი დილა გამითენდა. ჩემს ნაცვლად დონალდ ტრამპმა იძია შური, თავისი ანგარიშების დაბლოკვისთვის კომპანია „მეტა“-ს 25 მლნ დოლარი შეაწერა. კომპენსაციიდან 3 მლნ დოლარი იურიდიულ ხარჯებს მოხმარდება, 22 მლნ კი ტრამპის „პრეზიდენტის ბიბლიოთეკის ფონდს“ გადაეცემა. მე რა ანგარიშებს დამიბლოკავდნენ, მაგრამ სოცქსელ „ფბ“-ში „ცუკერას“ ქართული ფილიალები მაწამებდნენ.

შუა ნეტარებაში ვიყავი, როცა შეტყობინება მომივიდა: „თქვენი შიგთავსი ამოშალეთ!“

ანგლოსაქსური ენა მე არ ვიცი, ქართულად კი სხვა არანაირი შეტყობინება არ იყო. ყაბარდობალყარულად და ჩელიაბინსკურად იქ არაფერი ეწერა და ვერაფერი გავიგე, მაგრამ გავხსენი და ისეთი ჩამონათვალი იყო ქართულად, გულს შემომეყარა: სიძულვილის ენით მოლაპარაკე, ვაქცინაციის დაუძინებელი მტერი, დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელი სტანდარტების მოტრფიალე, ლგბტ თემის ცოცხალი ურჩხული, ცრუ ან ნახევრადცრუ ინფორმაციის გამავრცელებელი და რა ვიცი, კიდევ რა, კუკლუქსკლანელი და კენედის მკვლელობის ჩათვლით ყველაფერი უკეთურობის ჩამდენი მე ვყოფილვარ. დიდი ეჭვი მაქვს, გონზე მოსულმა მარკ ცუკერბერგმა ქართველ ხელქვეითებს უთხრა, ზურა კაი ბიჭია, ეგ მაგეებს არ იზამდა, მოხსენით ბორკილები და გაუსუფთავეთ ფბ-ბიოგრაფიაო, — შენ გაიხარე, ტრამპი ბიძია!

გადავხედე ფბ-ინფორმაციას და რას ვხედავ, — ბებიაჩემის ნაქონი ამოტრიალებული სპილენძის ტაშტი წითლად მოუთხუპნია, ბორდიურზე დამჯდარა, დაუდია წინ ქალისებრ არსებას და მიდიიი, გაბმით ურახუნებს. ხელი მაინც არ დაეღალა? ბიჯოო, მე სახლში წამიღო ყურთასმენა და იქ ვინც იდგა, ნეტავ, რა აგებულების ყურის ბარაბნები აქვთ, რომ არ დაუსკდათ, — ეტყობათ, რომ ერთი პატრონის გაკეთებული ბრახუნგამძლე ნივთები არიან.

ავუყევი ფბ-ს და, მოდის „ხრუშჩოვკა სასტავი“. წინამძღოლი გოგონა ვიცანი, ეს გოგო სულ დამყვირებლად ჰყავთ, ბანს „ხრუშჩოვკა“ აძლევს. გარკვევით კი გაჰყვიროდა, მაგრამ მაგის მომსმენი ვიყავი, როცა ამბად მამცნეს, რომ „მზია კვდება“? ნიკა გვარამიამ მკაცრად შენიშნა, რა ტექსტია ახლა ეგო, მაგრამ აიჩემეს, კვდებაო და...

გასკდა თავი! მზიადან და ზეზვადან რომ დავიწყე, ჩემი თანაკლასელი მზიათი დავამთავრე, მაგრამ ვინ იყო „ის“ მზია, ვერაფრით მოვიაზრე. რა მომასვენებდა. ინფორმაციის მოსაძებნად იმდენი ვიხეტიალე, თვალები გადამიტყავდა, სითხე გამიშრა და აგერ მყოლია მეგობრებში ცისკარი გოგიტიძე, რომელმაც გამაგებინა, ვინ არის მზია (მხოლოდ გვარით ვიცოდი ის ქალბატონი), მაგრამ მის გამო თავდადებაზე უარი მტკიცა — მე ნამდვილი ცისკარა კი არ ვარო.

ხან მიშა და ხან მზია, ამათ კუჭებზე გადის რევოლუციები, ახლა ისაკოც დაემატათ. ისაკო ვინღაა ნეტავ, „ჩვენი ისაკა“, თუ ნიუტონი?

ისე, ზოგიერთებმა რანაირი შიმშილი იციან — ბლინ, თქვი, რომ ზედმეტი კილოგრამები გაწუხებს და ბარემ „ტანზე მოდიხარ“. აგე, „ავღანა“, მგონი 137-ე დღეა, რაც შიმშილობს და მაინც ხოშიანად გამოიყურება... „დაზარალებულის“ სტატუსი მიანიჭეთ მზიასო, — „დამკვრელური შრომის გმირის“ წოდება არ წავა?

14 ქვეყნის საელჩო ერკინება ბიძინა ივანიშვილის დევებს, მზიას გამოხსნა უნდათ, მაგრამ თვით მზიას სულაც არ უნდა და, რაც მთავარია, ბაია პატარაიას არ უნდა: „არავითარი შეცდომა, მზიამ დამსახურებულად გააწნა სილა რეჟიმს“-ო. მოკლედ, ვერ ჩამოყალიბებულან, მზია რად უნდათ, მკვდრად, ტყვედ, გმირად, თუ წამებულ გმირად, რომელიც ტყვეობაში მოკვდა, — როგორი მავნებელი იდიოტები არიან, თუმცა, ის მზიაც ამათი ნაწილია და ბოლოს შეჯერდებიან.

კეშ პატელმა თქვა: „ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სამართალდამცველის წინააღმდეგ ძალადობის აქტს ჩაიდენს, უნდა იყოს გამოძიების ობიექტი, დაპატიმრებული და გასამართლებული“, — ვის ესმის...

გამჩენი რომ მაინც არ ასვენებთ — 500-ქალიანი ჯგუფი შეეკრიბოთ და ყველამ თითო სილა გავაწნათ თითო პოლიციელს, ყველას ხომ ვერ დაგვიჭერენო, — იდეა მოუფრინდა ფუტურო თავში ვიღაც მდედრს, თან იკითხა, ამას რომ ვწერ, ანონიმურობა ხომ დაცული მაქვსო. ვაჰ, ბიჯო! თუ ჟიმჟიმი აქვს, რას ჟანადარკობს ვიღაცაა, არც ორლეანელია და არც რა, ახტაჯანა გოგოობაც ვერ უთამაშია.

აჭარის პოლიციის უფროსის მოადგილემ ისე გამაცინა სახტად დარჩენილი, მე ძლივს გამოვედი მდგომარეობიდან და ნეტავ, ის „პირველის“ ჟურნალისტი რა მდგომარეობაშია.

კლასიკაა!

ჟურნალისტი: „გუშინ ვნახეთ პირდაპირ ეთერში, როგორ ამბობდით რომ, აი, თქვენიანები, ეტლით მოსარგებლე ადამიანებს რაღაცა. აი, თქვენიანებმა მოიყვანეს. უბრალოდ, მაინტერესებს, გუშინდელი დღის შემდეგ, როგორ არბენინეთ 200 მეტრი ათეულობით პოლიციელი რკინის კონსტრუქციებით... მართლა, აი, სამარცხვინო მდგომარეობა იყო. ამ ყველაფრის მერე, უბრალოდ, მაინტერესებს თქვენი შეხედულება, აი, არ გეუხერხულებათ მაინც? და აი, იმ მოცემულობაში რომ მე-19 დღეა, ქალი შიმშილობს პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო და იმ დროს, როდესაც მოძალადე პოლიციელები არიან დაუსჯელები, და ადამიანები, რომლებიც დათარეშობდნენ და ჩემს კოლეგებს ურტყამდნენ, გამოძიებას არცკი დაუდგენია, ვინ იყვენ, აი, მაინტერესებს, უბრალოდ, უხერხულობას მაინც არ გიქმნით ეს ყველაფერი?

— არა!“

ვინმეზე ამიტყდებიან ხოლმე სამგლე გოჯუბივით, შენი კოლეგააო. ბლინ, რომელი ჩემი კოლეგაა ნებისმიერი გრანტიჭამია, რედაქციიდან ფეხით რომ მივდივარ ვაგზლისკენ, ჩემივე ეშმაკი თუ არ დამემგზავრა, ჩემი ჯიბით „ჩებურეკი“ ვერ მიყიდია, რომ გულისპირზე ნეტარებით ჩამოვიღვარო მისი წვენი...

ავუყევი და, პირკატა მეცა — ბობ მენდესი დაუჭერიათ და უკვე 11 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსჯიათ ქრთამის აღებისა და უცხოური აგენტობის გამო.

ბიჯოო, რაც ეს სენატორი კაცი საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე დარდობდა ჯერ კიდევ 2021 წელს, მაგის დაჭერა იქნებოდა? ამ ჩემის გადანგრეულს, ქართული ქრთამი ლარებად შეენახა, იტყოდა, საქართველოზე მზრუნველი ვარ და მათ პატივცემად საკოლექციოდ სახლში ვინახავო. მარილიერ გრანტიჭამია, რედაქციიდან ფეხით რომ მივდივარ ვაგზლისკენ, ჩემივე ეშმაკი თუ არ დამემგზავრა, ჩემი ჯიბით „ჩებურეკი“ ვერ მიყიდია, რომ გულისპირზე ნეტარებით ჩამოვიღვარო მისი წვენი...

ავუყევი და, პირკატა მეცა — ბობ მენდესი დაუჭერიათ და უკვე 11 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსჯიათ ქრთამის აღებისა და უცხოური აგენტობის გამო.

ბიჯოო, რაც ეს სენატორი კაცი საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე დარდობდა ჯერ კიდევ 2021 წელს, მაგის დაჭერა იქნებოდა? ამ ჩემის გადანგრეულს, ქართული ქრთამი ლარებად შეენახა, იტყოდა, საქართველოზე მზრუნველი ვარ და მათ პატივცემად საკოლექციოდ სახლში ვინახავო. მარილისთვის პრეზერვატივების შესაძენად 50 მლნ დოლარი იყო განკუთვნილიო. პირველად ვნახე ლამაზი ამერიკელი ქალი თეთრი სახლის ადმინისტაციაში და იმას ვუყურებდი მოულოდნელობისგან პირდაღებული, მერეღა გავიაზრე საქმის არსი. რა 50 მლნ-ის პრეზერვატივი, კაცო!

დამაცადეს? „აშშ-მა უკრაინელებს ქვეყნაში შესვლა აუკრძალა!“ — მამცნო „ნიუ-იორკ თაიმსმა“. ნუთუ?

გავიხედე და ჯანმო-ს „შავი კაცი“ ამომიხტა, საქართველოს წარმატება იმედს გვაძლევს, რომ შესაძლებელია, მსოფლიო გათავისუფლდეს მალარიისგანო. თურმე საქართველოსთვის მალარიისგან თავისუფალი ქვეყნის სერტიფიკატი მიუციათ და სიტყვა მოგვისველა იმანაც.

დოიშვილი ვიყო, 50 მლნ დოლარის პრეზერვატივზე მეტად ამან გამაკვირვა. რა მალარია! რომელი მალარიისგან ტანჯული ქვეყანა ეს ჩვენი წალკოტია, რომ მისგან გავთავისუფლებულვართ კიდეც. როგორც ჩანს, ვიღაცას მალარიასთანაც უბრძოლია და გრანტიც აუთვისებია, აბა, რა ვიფიქრო, მაგრამ ის „ვიღაცა“ რომელიღა „მუშკეტერია“?

ვინ მაცადა დედუქციის მეთოდის გამოყენება? — ევროსაბჭოს

სებს დაადებს თავის „ლავკაში“, ეს ფული კი არ არის, „კუკლაა, კუკლაააო“. დარჩა ახლა ოხრად ათასობით დოლარი ნაღდი ფულიც, ძვირფასი მანქანაც და ეგვიპტური ოქროს ზოდებიც...

ამასობაში, ყაზახეთმა კაშაგანის საბადოდან ნავთობის პირველი პარტია გამოუშვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენებისთვის და საქართველოში, თბილისსა და გონიოში 6-მილიარდიანი ინვესტიციაც ჩაიდო არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან. ბიჯოო, ისეთი ამბავი ატყდა, ბლეფიადან რომ დაიწყო, პაპაჩემის პაპის ფილთა თოფის ძებნაღა დავიწყე, არაბების შემოსევა ისე თვალნათლივ დახატეს ალ კუპონადან დაწყებული, ნახევარქათამა ლელოელი წვერებიანი გნომით დამთავრებულმა.

„ჯერ ემირატებში გადაქაჩეს ფული და ახლა ინვესტიციად შემოაქვთ“, — სთქვა ბრძენმან გოჩამან მირცხულავამან, მომიტინგეთა მფრაველმან მამამან. წადი, ძმაო, ჟურნალისტობას მიხედე, — ფინანსები რომ არ არის მისი ძლიერი მხარე, უთხარით ვინმემ....

ამათზე ბუბუნი ვინ მაცალა, მშვენიერმა ქეროლაინ ლევიტმა შემომანათა თვალები, ღაზას სექტორისთვის პრეზერვატივების შესაძენად 50 მლნ დოლარი იყო განკუთვნილიო. პირველად ვნახე ლამაზი ამერიკელი ქალი თეთრი სახლის ადმინისტაციაში და იმას ვუყურებდი მოულოდნელობისგან პირდაღებული, მერეღა გავიაზრე საქმის არსი. რა 50 მლნ-ის პრეზერვატივი, კაცო!

დამაცადეს? „აშშ-მა უკრაინელებს ქვეყნაში შესვლა აუკრძალა!“ — მამცნო „ნიუ-იორკ თაიმსმა“. ნუთუ?

გავიხედე და ჯანმო-ს „შავი კაცი“ ამომიხტა, საქართველოს წარმატება იმედს გვაძლევს, რომ შესაძლებელია, მსოფლიო გათავისუფლდეს მალარიისგანო. თურმე საქართველოსთვის მალარიისგან თავისუფალი ქვეყნის სერტიფიკატი მიუციათ და სიტყვა მოგვისველა იმანაც.

დოიშვილი ვიყო, 50 მლნ დოლარის პრეზერვატივზე მეტად ამან გამაკვირვა. რა მალარია! რომელი მალარიისგან ტანჯული ქვეყანა ეს ჩვენი წალკოტია, რომ მისგან გავთავისუფლებულვართ კიდეც. როგორც ჩანს, ვიღაცას მალარიასთანაც უბრძოლია და გრანტიც აუთვისებია, აბა, რა ვიფიქრო, მაგრამ ის „ვიღაცა“ რომელიღა „მუშკეტერია“?

ვინ მაცადა დედუქციის მეთოდის გამოყენება? — ევროსაბჭოს ასაბლეამ უარი თქვა პუტინის ტერორისტად აღიარებაზე! რა უცნაური ორსახოვნები არიან... ბოლოს თუ უკრაინა არ გამოვიდეს რუსეთზე თავდამსხმელი, მე ვიყო ქუვეითის შპიონი...

კი, მასე გამოიყვანენ. მერე რა, თუ ტაკერ კარლსონმა მეთ ტაიბთან ინტერვიუში თქვა, რომ ენტონი ბლინკენმა, პოსტზე ყოფნის ბოლო ორი თვის განმავლობაში, ყველაფერი გააკეთა, რათა აშშ-სა და რუსეთს შორის ომის დაწყება დაეჩქარებინა და სულაც აშშ-მა ატეხა უკრაინაო...

ამას რა უჭირს, ახლა აიტეხეს, უკრაინაში არჩევნები უნდა ჩატარდესო, — არჩევნების ჩატარება რომ სდომოდა, ქადაგად კი არ დაეცემოდა ზელენსკი, ომის მიმდინარეობისას არჩევნების დრო არ არისო. საგულისხმო ის არის, რომ მანამდე, ორი-სამი დღით ადრე, პუტინმა თქვა, ზელენსკი ვინ ჩემის შვანცკია, კაი ხანია, ვადაგადასული და არალეგიტიმურია, პრეზიდენტი კი არა, ისევ კლოუნია ეგო.

ისევ იქ ვარ — რა კარგი გოგოა ქეროლაინ ლევიტი, ბაიდენის ადმინისტრაცია ამერიკელი ხალხის ფულს მთვრალი მეზღვაურივით

4 83.

ᲓᲐᲘᲮᲔᲡᲢᲘ

№4 (781) 5.II. 2025 წ.

3 გვ.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

ხარჯავდაო. „მთვრალ მეზღვაურს“ რა უჭირს, „გაბოროტებული მთვრალი მეკობრესავით“ კახპებში და იარაღზე რომ ხარჯავდა, ის არის აშშ-ის უბედურება, მსოფლიოს შეაძულა თავი...

ნორვეგიელებმა წინდახედულებით გამაოცეს — სადღაც, მიუვალ ჭიუხებში „განკითხვის დღის თესლის ბანკი“ შეუქმნიათ. მე ხომ რაჭული მემართება ხოლმე, ჰოდა, მეგონა, ბიბლიური ნოეს წამხედურობით, ამათ ხე-მცენარეების |თესლები შეინახეს-მეთქი. საქმეში ხარ? — ადამიანისა შეუნახავთ. ბიჯოო, თუ ისე ამოწყდა დედამიწა, რომ ადამიანი „ბანკით“ გასამრავლებელი გახდა, ესენი რანაირად აპირებენ ამ საშური საქმის წარმოებას, ვისი ხელით?

გავიხედე და პირდაპირ ეთერში ჩაცხრილეს ერაყელი სალვან მომიკა. ეს ის მომიკაა, ყურანი რომ დაწვა მეჩეთის წინ და მისი მოკვლისთვის 2 მლნ დოლარი იყო დაწესებული.

ეს ისლამისტები კიდე რა ძალიან „ისტები“ არიან, ასე რომ გვეხოცა მართლმადიდებლობის მაგინებლები, ახლა 1 200 000 დავრჩებოდით. ის მაინც ვერ გავიგე, ტიპი ათეისტი იყო, თუ კონკრეტულად ისლამს ერჩოდა. მე რა უნდა გავიგო, თვითონ ისლამისტებმა ვერაფერი გაიგეს, — მომიკას მოკვლიდან 24 საათი არ იყო გასული და 10 000-ზე მეტი ყურანი დაწვეს მუსლიმანებმა, „დღეს, ჩვენ ყველა მომიკა ვართო“...

ვის რა აცოფებს, — განრისხებულმა დემონსტრანტებმა კონგოში აშშ-ის, საფრანგეთის, ბელგიის, იაპონიის, რუანდის, უგანდის და კენიის საელჩოებზე იერიში მიიტანეს სკანდირებით — „სიკვდილი იმპერიალისტებს!“

ვის რა ანაღვლებს და ვის რა ახარებს, — „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, გერმანია რუსეთის თხუვადი ბუნებრივი აირის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი გახდა.

ვინ გაცდის მსოფლიო ამბების გაგებას, სიხარულით გამოენთო ერთ დროს მართლა ტვინიანი გვარამია და „სირია დღეს ნელ-ნელა დგება ფეხზე“-ო. ბიჯოო, ტულსი ჰაბარდი ამბობს, დღეს სირიას ისლამისტი ექსტრემისტები მართავენ, რომლებმაც 9/11-ის თავდასხმის აღსანიშნავად ქუჩაში იცეკვესო და ამას რა სჭირს, ბაიდენის სულში ჩაეძინა?

განვაგრძე ახალი ამბების თვალიერება და, ბიჯოს, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ევროკავშირის ლიდერებთან ურთიერთობა გაყინა და ფსონი ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ლიდერებთან ცალ-ცალკე მოლაპარაკებზე დადო. ბოლოს რა გამოდნება ტრამპის მიერ ბანქოს ახლებურად დარიგებისგან, მალე ვნახავთ, მაგრამ ძაღლი რომ ძველ პატრონს ვეღარ იცნობს, ვატყობ...

ამასობაში სტრასბურგში ერთმანეთს ჩაეხუტნენ ყარა-მურზა და შოთიკოს თინიკო. ფოტოს რომ დავხედე, დავინტერესდი, ნეტავ, რას ეხუტება ეს ჩვენი თეთრყირმიზი ქალი ამ ნახევარქათამას-მეთქი და თურმე „შავი თაფლი“ (ყარა — შავი, მორზ — თაფლი) ყოფილა — ბაიდენის თხოვნით რუსეთისთვის გაცვლილი ჯაშუში! ყარა-მურზა არც ევროდეპუტატია და არც ევროკომისიის მუშაკი, სპეციალურად იყო ჩასული ქართველ აგენტურასთან, ღიად გამოხატულ მსტოვრებთან შესახვედრად. იმ უჟანგბადო ასამბლეაზე უტიფარი გონჩარენკო თუ ყაყანებდა, ბარემ ეგეც ყოფილიყო, ვის რა ოფლიანი ბაყაყი დაახატეს.

საქართველოს დელეგაციამ, მიუხედავად უფლებამოსილებისა, საპარლამენტო ასამბლეა დატოვა და საქმიანობა იმ დრომდე შეაჩერა, სანამ ევროსივრცეში ის ფასეულობები არ დაბრუნდება, რისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს სწრაფვა ევროოჯახისკენ. ზიანზე თუ მიდგა საქმე, დაზიანდა ევროპის საბჭოს რეპუტაცია, რადგან რეგიონში არსებული სამი ქვეყნიდან, ორი — აზერბაიჯანი და საქართველო — გამოეცალათ, დროებით თუ სამუდამოდ, აღარ აქვს მნიშვნელობა, მთავარია ფაქტი! ეს მათი პოლიტიკის დიდი ჩავარდნა და პოლიტიკური მარცხია.

სათუნიკამ ცხვირი ააცმაცუნა და თქვა, „ქოცებმა“ მასე იციან, სანამ საიდანმე გამოაგდებენ, იძახიან, „მე მივდივარო“, მიტოვებული მიჯნურივით იტყუება, მე მივატოვეო. როგორც ჩემი ძმაკაცი ერვანდა იტყოდა, სათუნიკა ტყვილს არ უთხრამდა, ოპიტნი ახჩიკაა, მიტომაც იყო, მინამ „ნაცმოდან“ პანღურით გამოისროდნენ, თითონ გავარდა და შიგ „ლელოში“ თავით ქნა. ჰო, რა, რას კარგავს, „ლელოშიც“ არის მისი წილი სახრავი ძვალი...

ერთი რამ ვერ დავადგინე, ეს უსამშობლოები მართლა იდიოტები არიან, თუ თავიანთ დაბოლებულ ქუჩის შპანას გაბმით აბოლებენ? ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, თეოდოროს რუსოპულოსმა ლამის თვითმფრინავის კუდზე უტაცა ხელი საქართველოს დელეგაციას, გეხუმრე, არისტაფან, გეხუმრე, კაცოო! გეხუმრე, თეა, შენ რაღა დაგემართა, „შუტკა“ არ გესმისო? მოდით, „სასტავო“, აქა, სად მიდიხართო, მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა ჩვენი ნებაააო, მაგრამ განაწყენებულმა ქართველებმა „ნწუ“-ო, „ბატკასი“ არ იყოს, **Фиолетово**-ო.

გავხედე და მსტოვართა სექტას ყიჟინი გაუდის, გავიმარჯვეთო. ეს სვედანახშირებულები მუდამ გამარჯვებულები რანაირად არიან ყოველთვის და ყველაფერში, რა ჰქვია ამ ავადობას, არავინ იცით? ერთი რომ გაიმარჯვა აშშ-მა 2003 წელს ე. წ. ვარდების რევოლუციის სახელით და მიაკრა უსამშობლოებს, ვითომ თქვენ გაიმარჯვეთო, იმის შემდეგ მუდამ გამარჯვებულები არიან. ჩემი ღრმა რწმენით, ეს შიზოფრენიის ახალი ფორმაა, რომელიც, რიგ შემთხვევებში, ძალზე აგრესიული ფორმით ვლინდება.

უბედურება ის არის, რომ ამ ბოროტ სექტას კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სრულიად საქართველოსთან ჰყავს გაიგივებული. შესაბამისად, მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს, თუ საქართველოში რაიმე ცუდი მოხდა. კიდევ უკეთესი, თუ თვით ქვეყანა საქართველოს თავს დაატყდება რაიმე სახის უბედურება ომის ჩათვლით, ცალკეული ოჯახის ტრაგედია ხომ მალამოსავით ესალბუნებათ — როგორც აფთრები, ისე იღგზნებიან სისხლის სუნზე...

სწორედ ამიტომ უყვართ ის ბომბი (ბომბები), რომელიც 100 000 დოლარი ღირს, 100 000 000-დოლარიანი თვითმფრინავიდან ცვივა, რომლის ერთსაათიანი ფრენა 42 000 დოლარი ღირს და იმ საბრალო ხალხს ხოცავს, რომლებიც დღეში 1 დოლარად მუშაობენ და ცხოვრობენ...

ფატულიმ თქვა და მისი არ იყოს: უკრაინა ომშია; მის მერე პირველს პოლონეთს წაუთაქებენ თავში; ბალტიისპირეთი საომართა რიგში დგას; შვედეთი, დანია და ფინეთი რუსის ლუკმაა მაინც; გერმანია იქცევა და საფრანგეთი ხვდება, რომ მას მიჰყვება. ნახევარი „ძაან ევროპა“ გიჟს ჰგავს და „ოცნება“ მე მიკიჟინებს, „მოთმინება, თავადოო“. ჰო, კაი, ვითმენ, მაგრამ ამ თავზეხელაღებული ლაწირაკი წვინტლიანებისა და მხცოვანი ჟღვლინტიანების გაძლება როგორია? გაძლება-მოთმინებისგან ტიკივით გავხდი ალვის ხესავით ტანადი კაცი!..

საქართველოს სახელმწიფო სამხედრო გზის გადაკეტვის დრო მოვიდა, ხელისუფლების დატესტვა გადაწყვიტეს უსამშობლოებმა და „ბეეე!“ დაუდასტურეს სამსხვერპლოდ განწირულმა ცხვრებმა. ის ბალ-ბალკე მოლაპარაკებზე დადო. ბოლოს რა გამოდნება ტრამპის მიერ ბანქოს ახლებურად დარიგებისგან, მალე ვნახავთ, მაგრამ ძაღლი რომ ძველ პატრონს ვეღარ იცნობს, ვატყობ...

ისედაც მომეყინა თავიო, — შეუცხადებია ნიკანორს.

ნადა, ნიკალაი, ნადაო, — დაყვავებით უთქვამთ ჩელიაბინსკელ სამართალდამცავებს.

ზოოპარკის მშენებლობა ჯერ არ დაუსრულებიათო, — გაუპროტესტებია გაკავებულს.

მაშინ, მინდორში გაგიშვებთო, — დაუყვავებიათ ფორმიან უგულოებს.

ბოლო-ბოლო, სად და როდის გაუშვეს, ვეღარ გავიგე, მაგრამ აფხანიკები ისე ეძებდნენ მთელი საღამო, ეტყობა, ლაგოდეხის ნაკრძალში გაუშვეს და თბილისისკენ გზას ვეღარ იგნებდა...

სხვას უწოდებენ უნიათოებს და, როგორც დიდი ქალთამპყრობელი იტყოდა, — თვითონ ერთიფიორა სიგანის გზა ვერ გადაკეტენ!

სამანტა პაუერის განმეორებით ბრძანებას ველოდი, „ქართული ოცნების“ მთავრობამ მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმა და მათი დაკავება უნდა შეწყვიტოსო, მაგრამ ჩქამი არ გაუღია. ეტყობა, შუბლზე ფორმიანი ფორმიან უგულოებს.

ბოლო-ბოლო, სად და როდის გაუშვეს, ვეღარ გავიგე, მაგრამ აფხანიკები ისე ეძებდნენ მთელი საღამო, ეტყობა, ლაგოდეხის ნაკრძალში გაუშვეს და თბილისისკენ გზას ვეღარ იგნებდა...

სხვას უწოდებენ უნიათოებს და, როგორც დიდი ქალთამპყრობელი იტყოდა, — თვითონ ერთიფიორა სიგანის გზა ვერ გადაკეტენ!

სამანტა პაუერის განმეორებით ბრძანებას ველოდი, „ქართული ოცნების“ მთავრობამ მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმა და მათი დაკავება უნდა შეწყვიტოსო, მაგრამ ჩქამი არ გაუღია. ეტყობა, შუბლზე ფორმიანი ფორმიან უგულოებს.

ბოლო-ბოლო, სად და როდის გაუშვეს, ვეღარ გავიგე, მაგრამ აფხანიკები ისე ეძებდნენ მთელი საღამო, ეტყობა, ლაგოდეხის ნაკრძალში გაუშვეს და თბილისისკენ გზას ვეღარ იგნებდა...

სხვას უწოდებენ უნიათოებს და, როგორც დიდი ქალთამპყრობელი იტყოდა, — თვითონ ერთიფიორა სიგანის გზა ვერ გადაკეტენ!

სამანტა პაუერის განმეორებით ბრძანებას ველოდი, „ქართული ოცნების“ მთავრობამ მშვიდობიან დემონსტრანტებზე თავდასხმა და მათი დაკავება უნდა შეწყვიტოსო, მაგრამ ჩქამი არ გაუღია. ეტყობა, შუბლზე

შანტაჟის ენა უნდა დამთავრდეს!

გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი, საჯარო მმართველობის დოქტორი, თამთა მეგრელიშვილი:

— ქალბატონო თამთა, როგორ აფასებთ, საქართველოს დელეგაციის გადაწყვეტილებას საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობის შეწყვეტის შესახებ? ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 114 ხმით 13-ის წინააღმდეგ, საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო, რის მიხედვითაც „პასე“ მოითხოვს აპრილამდე ხელახალი არჩევნების დანიშვნას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ თან ცნო დელეგაციის უფლებამოსილება, რითაც ფაქტობრივად აღიარა 26 ოქტომბრის არჩევნები და თან დოკუმენტში ჩაგვიწერა — აპრილამდე არჩევნები დანიშნეთო. რამდენად სამართლიანია ეს მოთხოვნები და რას ეფუძნება?

— საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტის დელეგაციის უფლებამოსილების არცნობის გეგმა ჩავარდა, რომლის მთავარი ინიციატორები გარე რადიკალური ოპოზიციისა და „არასამთავრობო“ ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ. დიახ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 114 ხმით, 13-ის წინააღმდეგ საქართველოს შესახებ რეზოლუცია მიიღო. „პასე“ დოკუმენტის თანახმად მოითხოვს, რომ მიმდინარე წლის აპრილამდე ხელახალი საპარლამენტო არჩევნების თარიღი ჩაინიშნოს და პოლიტპატიმრები გათავისუფლდნენ.

დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობას წყვეტდა. ეს გადაწყვეტილება ღირსეული ნაბიჯი და იმის შეხსენებაა, რომ მიღებული რეზოლუციით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა გასცდა თავისი კომპეტენციის ზღვარს — მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ამა თუ იმ ქვეყნისგან კონკრეტული შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ამ ყველაფერს არეგულირებს არა ევროსაბჭო, არამედ კონკრეტული სახელმწიფოს კანონმდებლობა და კონსტიტუცია.

ევროსაბჭო მოითხოვს საქართველოს 1 მილიონ 200 ათასზე მეტი მოქალაქის ნების უგულებელყოფას და, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე, მათთვის ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური პროცესის თავსმოხვევას. რეზოლუცია რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო, არის „დიფ სთეითის“ გეგმის გამოძახილი და მისი მთავარი მიზნის მხილება — ქვეყნის ხელისუფლების სათავეში საკუთარი მარიონეტები მოიყვანოს. შემდეგ კი მათი მეშვეობით თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად ქვეყანა ომში ჩართონ.

— რეზოლუციის თანახმად, „პასე“ ასევე ითხოვს, საქართველომ ევროპული ინტეგრაციის გზა განაახლოს, რაც, მათი თქმით, ხალხის ევროპულ მისწრაფებებს შეესაბამება. გარდა ამისა, მოითხოვენ, დასრულდეს საპოლიციო სისასტიკე, ჟურნალისტების, დემონსტრანტების, ლიდერების მიმართ შურისძიება და ადამიანის უფლებების დარღვევები. რას ნიშნავს „პასეს“ მხრიდან რეზოლუციაში ასეთი ჩანაწერის გაკეთება. ზოგადად, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ დადგენილებას?

— „პასეს“ დოკუმენტის მოთხოვნები არ ემყარება არანაირ სამართლებრივ არგუმენტს. ის მხოლოდ „დიფ სთეითის“ პოლიტიკური საჭიროებებიდან გამომდინარეობს და მიზნად ისახავს უკანონობის კანონიერად გამოცხადებას. ეს სამარცხვინო დოკუმენტია, რადგან ის ეწინააღმდეგება ევროპულ ფასეულობებს და კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამიტომ ამ დოკუმენტს, თავისი უკანონო მოთხოვნებით, პოლიტიკური პერსპექტივა არ და ვერ ექნება.

— ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, თეოდოროს რუსოპულოსმა განაცხადა, რომ ქართული დელეგაციის გადაწყვეტილება სამწუხარო ნაბიჯია. მან ასევე აღნიშნა, რომ ასამბლეაში მონაწილეობა სავალდებულოა და არა ნებაყოფლობითი, რადგან მანდატები რატიფიცირებულია. პირველი შემთხვევაა, როცა დელეგაციის უფლებამოსილება ცნობილია და ის მუშაობაზე უარს ამბობსო...

— სავალდებულობა არ გამორიცხავს პოლიტიკური ღირსების ქონას. მიმაჩნია, რომ საქართველოს ოფიციალური დელეგაციის ადგილი არ არის იქ, სადაც ხელყოფენ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მოსახლეობის არჩევანს არ ცნობენ და ხელისუფლებას შანტაჟის ენით ესაუბრებიან. საქართველოს დელეგაცია ასამბლეაში მუშაობას მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება, როდესაც შანტაჟის ენა ჯანსაღი დისკუსიით შეიცვლება. ტრამპის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული „დიფ სთეითის“ დემონტაჟის კამპანია აუცილებლად მისწვდება ევროპულ ნაწილს და ქართულ სახელმწიფოსთან სასაუბრო პოლიტიკური ენა შეიცვლება.

— ასამბლეის საპარლამენტო კომიტეტმა განაცხადა, რომ ქართული დელეგაციის მიერ მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, აპრილში რეაგირებას მოახდენს. რა მოლოდინი გაქვთ ამასთან დაკავშირებით. და აქვე გკითხავთ, სტრასბურგში გამგზავრებამდე „პასეს“ მონიტორინგის ჯგუფი საქართველოში იმყოფებოდა და ანგარიში მოამზადა, თუმცა მასში აისახა მხოლოდ ნჯო-ებისა და რადიკალური ოპოზიციის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, ხელისუფლების მიერ მიწოდებული კი ანგარიშში არ მოხვდა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ამ ორგანიზაციის მაღალჩინოსნებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების, ხალხის მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება აქვთ?

— დიახ, „პასეს“ მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშში აისახა მხოლოდ რადიკალური ოპოზიციისა და მკვეთრად პოლიტიკური „არასამთავრობო“ სექტორის პოზიციები, რაც ჩანასახშივე მყარი მტკიცებულებაა იმისა, რომ არავის აინტერესებს ღია პოლიტიკური დისკურსი და „დიფ სთეითი“ საქართველოს ხელისუფლების მიმართ საკუთარი ნარატივით მოქმედებს.

— როგორ ხედავთ ამ ფონზე ევროსაბჭოს სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაგრძელების პერსპექტივას და როდის, როგორ წარმოგიდგენიათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან მუშაობის განახლება?

— ჩვენ დროებით ვწყვეტთ მუშაობას საპარლამენტო ასამბლეაში, თუმცა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ევროსაბჭოს წევრად რჩება და მისი ვალდებულების პირობებში მოქმედებას განაგრძობს.

— ასამბლეაზე საქართველო მწვავე კრიტიკის საგანი იყო. ოპოზიცია იბრძოდა, რათა „პასეს“ ქართული დელეგაციის უფლებამოსილება არ დაემტკიცებინა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. სამაგიეროდ, ოპოზიციამ განაცხადა, რომ იქ, სადაც ჟვანიამ ისტორიული სიტყვა წარმოთქვა, ხელისუფლებამ შანსი ვერ გამოიყენა, რათა დემოკრატიულად განვითარების ფარგლებს დაბრუნებოდაო. მუშაობის შეწყვეტით ხელისუფლებამ ქვეყნის იზოლაციას მოაწერა ხელიო. რას იტყვით ოპოზიციის საპასუხოდ, თითქოს, საქართველო ევროპულ სივრცეს შორდება? ამ ყველაფრის ფონზე, როგორ შეიძლება გაგრძელდეს ევროპასთან ჩვენი ურთიერთობა?

— საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობის შეწყვეტა არის სუვერენული სახელმწიფოს ნაბიჯი. მცდელობის მიუხედავად, ოპოზიციის მუშაობამ, რომ ევროსაბჭოს არ ეღიარებინა „ქართული ოცნების“ დელეგაცია, შედეგი არ გამოიღო. თუმცა, სწორედ იმის გამო, რომ იყო ამის მცდელობა, ეს ხელისუფლებამ სახელმწიფო საქმეებში უხეშ ჩარევად მიიჩნია და გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ, ვიდრე ქვეყნის მიმართ ეს დამოკიდებულება არ შეიცვლება, საპარლამენტო ასამბლეაში მუშაობა დროებით შეწყვიტონ.

ევროპა დიდი ხანია, აღარ არის უბრალოდ, გეოგრაფია, ევროპა იდეაა. თავისუფლების, თანასწორობის, მშვიდობის იდეა. ჩვენი ყოფა, ისტორიული წარსული, დიდწილად, იმის დასტურია, რომ ჩვენ ევროპელები ვართ. „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი“ ეს პრინციპად იქცა და მისი შინაარსი კონსტიტუციის დონეზე დაკანონდა. ქართული სახელმწიფო საქმით ამტკიცებს ევროპულ ოჯახში წევრობის აუცილებლობას, მთავარია, ევროპა დაუბრუნდეს საკუთარ თავს.

— რა მოსაზრება გაქვთ ამერიკელი ჰაკერების მიერ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე, რითაც დადასტურდა წყაროების სია და სქემა, თუ როგორ ფინანსდება რადიკალური აქციები, რასაც ოპოზიცია ხალხის მიერ ორგანიზებულ აქციად ასაღებს?

— დიახ, ამერიკელი ჰაკერების მიერ გამჟღავნებული ინფორმაციით დადასტურდა წყაროების სიაც და სქემაც, თუ როგორ ფინანსდება რადიკალური აქციები, რომელსაც ოპოზიცია თვითორგანიზებული ხალხის პროტესტად ასაღებდა. კერძოდ, 30 მილიონი დოლარი გამოიყო სამი პროგრამისთვის, რომელთა სამიზნე ჯგუფები ნათელია, ხოლო მიზნობრიობა კითხვის ნიშნებს ბადებს და მათ შესახებ ინფორმაცია მათივე ვებგვერდზე არ იძებნება. ამერიკელი ჰაკერების მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის შესახებ „იუესაიდი“ დუმს, რაც კიდევ ერთი მყარი არგუმენტია იმისა, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი აუცილებელი და მყარი სამართლებრივი ბერკეტია ამ და მსგავსი რისკების წინააღმდეგ, რომლებიც დღის წესრიგში დგას. ჰაკერების მიერ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე „იუესაიდის“ დუმილი, სინამდვილეში, ყველაზე დიდი ხმაურია, რადგან გამჭვირვალობის აუცილებლობას და მმართველი გუნდის განცხადებას ადასტურებს, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით ფული არა გაცხადებული მიზნებისთვის, არამედ პოლიტიკური აქტივობისთვის იხარჯებოდა.

— თქვენ ამბობთ, რომ ეს ფაქტი გამჭვირვალობის კანონის აუცილებლობას ადასტურებს. არადა, დასავლეთი დღემდე მოგვიწოდებს — თუ გვინდა, რომ ევროკავშირში მიგვიღონ, ეს კანონი უნდა გავაუქმოთ...

— უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამართლებრივი „აქტი“, რომელიც აზღვევს იმ რისკებს, რაც გარე ძალებიდან მოდის და რომლის უარყოფითი გავლენა პოლიტიკური რყევები და ქუჩაში უმართავი ახალგაზრდაა. უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი ქმნის მყარ სამართლებრივ ბერკეტს, რათა დაცული იქნას ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილური განვითარების პერსპექტივა.

თამარ შველიძე

პაიკობიდან – პაიკობამდე

ამთავითვე გთხოვთ, მომიტევეთ მაქსიმალურად თავშეკავებული, მაგრამ გულიდან ამოსული ჩუმი ღრიალი!

ძალიან ძნელია საკუთარი სამშობლოს მტრის მოხსენიება თავშეკავებით, რაგინდ ექსპრეზიდენტი და თანაც ქალი იყოს.

მიხეილ სააკაშვილიო! — ის მანიაკი, უმწიფარი ყმაწვილი ყოფილა ამ კუდიან დედაბერთან შედარებით, თავის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ჰალსტუხს მაინც ღეჭდა გულშემოყრილი, — ეს ქალი ვინ ყოფილა, ეს დამპალი საგვარეულო ხის დამპალი ნაყოფი...

დავიფიცე, დავიგინე, დავიფურთხე, რა აღთქმა აღარ დავდე, რომ 2024 წლის 30 დეკემბრიდან ამ ქალის გვარ-სახელს აღარ ვახსენებდი; რა შემლოცველ-გამომლოცველთან აღარ მივედი, რომ ამ ქალის ენა-პირიდან ამოსული შხამ-გესლი აღარ მხსომებოდა, მაგრამ ჩრდილი რომ უკან დაგდევს და ვერ იშორებ, ისე გახდა ჩემთვის ეს პარიზული ჩამოსხმის „კრისა“. ვირთხა რომ ვუწოდო, ისიც კი არ ეკუთვნის ამ არაქალს.

ეს ეშმაკის ანასხლეტი, ჯერ კიდევ პრეზიდენტობამდე, მეგობრად მყავდა სოციალურ ქსელში, — რაც მის გამო იპოდრომის ტალახი ვზილე ყინვა-ბიძგა-ქარაშოტში; მერე დაბადების დღეებს ვულოცავდი; შემდეგ პრეზიდენტობა მივულოცე. „არა და არასდროს!“ რომ თქვა, კინაღამ ძეგლი დავუდგი იალბუზზე, მაგრამ სალანძღავი რომ გახდა, კეთილისმყოფელობიდან მივიმალე და ზორგედ შევრჩი.

ხო აღარ მომასვენა! კაცს რომ ვენერიული დაავადება ქრონიკულად აეკიდება და ვერ იშორებს, ისე ამეკიდა ჟურნალისტურ ცხოვრებაში!

გათენდა დილა და პირველი მან შემომანათა სოცქსელში: „გააზიარეთ, ეს ჩვენი დღევანდელობის იგავი...“

დავინტერესდი, ალბათ, რაღაცას თავისებურად მოახლაფორთებდა — ვინ სად რას თხრის, ვიცინებ და მთელი დღე ღიმილი დამებედება-მეთქი. მოვიმარჯვე კომპიუტერთან დილის სავალდებულო ატრიბუტები და ჩავუჯექი. ვიღაცისგან გადმოუტანია და აზიარებს: „ ეხლა ერთი 34 წლის ბიჭი სახლში ზის და საჭმელს ჭამს. მისი ოჯახური მდგომარეობა არ ვიცი, ამიტომ ვერ ვიტყვი გვერდით დედა უზის, მამა, ცოლი თუ შვილები... მნიშვნელობა არ აქვს.

ზის და ჭამს შემწვარ ქათამს და კარტოფილს. ტყემლით. თან ძალიან სიამოვნებს. უყვარს ჭამა. ვის არ უყვარს?

თან ვიღაცა ელაპარაკება. ამბებს უყვება. მის ბავშვობაზე, მის ნათესავებზე, მომავალ გეგმებზე... არაფერი განსაკუთრებული. ის რაც ყველა ოჯახში ხდება. სითბო და სიყვარული.

ამ დროს ქალაქის მეორე ბოლოში ერთი ქალი ციხეში ზის და შიმშილობს. შიმშილობს იმიტომ, რომ უსამართლოდ ჩასვეს ციხეში. უსამართლოდ იმიტომ, რომ ამ

ქვეყანაში სამართალი უბრალოდ არ არსებობს და ჩასვეს იმის გამო, რომ ზემოთ რომ ქართველი ბიჭი ქათამს და კართოფილს ჭამდა, აი იმას გაარტყა სილა შეგინების გამო. მერე ის ბიჭი წავიდა, ლოყა გამიწითლდაო და ამ ქალის 7 წლით ციხეში გამომწყვდევა ბრძანა.

ეს ქალი შეიძლება მოკვდეს, ვინაიდან ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას სიკვდილი ურჩევნია, ის ბიჭი კი უეჭველად დაწინაურდება, ვინაიდან სისხლიან რეჟიმს სწორედ ასეთი ხალხი სჭირდება საყრდენად.

ზღაპარი არ გეგონოთ. დღეს ხდება ეს. ზუსტად იგივე ქვეყანაში, სადაც შენ ცხოვრობ...“

მილიცია-პოლიციაზე მე თუ ოდესმე ქება-დიდებას აღვავლენდი და ჯანმრთელობას ვუსურვებდი იმ სისხლიანი ცხრა წლის შემდეგ, ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ერთხელ 9 აპრილს შემიყვარდა მილიცია და მეორედ ახლა შემიყვარდა პოლიცია, რომელიც დღეს მართლა მიცავს, მაგრამ არის ერთი დიდი „მაგრამ!“

„ქართული ოცნებისა“ და შსს მინისტრის კისერზე და სინდის-ნამუსზე იყოს პოლიციის მუნდირის ღირსების შელახვა! ორდენები არ და ვერ აამებს შელახულ კაცურ და პროფესიულ თავმოყვარეობას...

გრიგოლ ვაშაძემ რომ სპეცრაზმელზე ხელით შეხება გაბედა და დასავლურ-დემოკრატიულად ღორივით არ გაიგდეს ფეხქვეშ, იმიტომ ისროლეს კრებსითმა გრიგორიადისებმა „მოლოტოვის კოქტეილები“, იმიტომ მოხდა და მოხდება იგივე.

რას ვერჩოდით ვანო მერაბიშვილს და მის ზონდერებს, თურმე ძალიან დემოკრატიულად იქცეოდნენ, „დუბინკების“ შხუილი რომ გაუდიოდათ და გვამებს სახურავზე დებდნენ.

დიახ!

კარგად ვხედავთ, როგორ იქცევა პოლიცია დემოკრატიულ ქვეყნებში. შემზარავი საყურებელია, მაგრამ ფაქტია. ვინ არჩევს სქესს და ასაკს, ერთი ზედმეტი კანონდარღვევის გამოვლინება სამართალდამცავის მიმართ და მედუზასავით უერთიანებენ ძვალ-რბილს, თუ ძაღლებიც არ მიუშვეს და ცხენები არ დაურთეს მომიტინგეების გადასაჯეგად, შეღავათია. ლორა თორნტონს ტყუილად კი არ უკვირდა, ამდენი ხანია, საპროტესტო აქციები მიმდინარეობს და არავინ მომკვდარაო.

იმ ზეპრივილეგირებულმა პატიმარმა რომ გამოსძახა საკან-პალატიდან, ბალერინებივით იქცევითო და ძალადობისკენ მოუწოდა თავის „ლაშქარს“, ისინი ნამდვილად არ იქცეოდნენ ბალერინებივით, მაგრამ სამართალდამცავებს რომ იძულება აქვთ, ბაღის ბავშვებივით იდგნენ, მართლა ამაზრზენია. ვფიქრობ, იმაზე მეტად, ვიდრე ცივილიზებული დასავლური პოლიცია იქცევა — ელემენტარულია, პოლიციას რომ დაჩაგრულს ხედავ, რადგან პოლიცია სახელმწიფო ორგანოა, სახელმწიფოს ხედავ დაჩაგრულს...

ბატონმა ივანიშვილმა ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის დროს თქვა, ყველას გავაოცებთ ჩვენი დემოკრატიითო, — აღარ გვინდა ასეთი დამამცირებელი გაოცება, გაოცებისგან ყბა ჩამოგვივარდა უკვე...

ამ კუდიანი დედაბრით დავიწყე, მაგრამ თუ სხვა არაფერი შემიძლია, ჩემი, როგორც მოქალაქის ვალია, სიტყვა მაინც შევაწიო იმ უწყების გმირ ბიჭებს, რომელი უწყებაც არავის უყვარს, მათ შორის, არც მე. ზოგადად, ასეა, კანონდამცველი არავის უყვარს...

ჰოდა, იმას ვამბობდი, ეს კუდიანი დედაბერი, ნაძალადევად გადედოფლებული პაიკი რა დღეშია, ხედავთ?

რა პოლიტიკური პაიკიც იყო, იმავე პაიკად დარჩა, შუაში მყრალი სიცარიელით, მაგრამ მავნებლობის ისეთი გრძელი ჭია ჰყავს შემძვრალი გულ-გვამში, ვერც ოტორინოლარინგოლოგი უშველის და ვერც — პროქტოლოგი.

The Hill-მა გვამცნო ამ მავნებელი ქალის შესახებ: „მისი გზავნილი არის ის, რომ აშშ-მა ზეწოლა უნდა მოახდინოს რუსეთზე და საამისოდ, საქართველო როგორც „სათამაშო მოედანი“, ისე უნდა გამოიყენოს.“

როდესაც მის ნათქვამს შესაბამისი რეაქცია მოჰყვა, თარგმანს დაბრალდა და მოგვიანებით ტექსტი ჩაასწორეს, მასე კი არა, ასე თქვა, „მისი გზავნილია, რომ აშშ-მა უნდა გამოაცხადოს პოლიტიკა, რომ კავკასია არ არის კრემლის „სათამაშო მოედანი.“ ვის რას დააჯერებენ, არ ვიცი, მაგრამ ამ ორ ციტატაში ისეთი საერთაშორისო სიტყვებია, თუ არ უთქვამს, არავის მოელანდებოდა: „საქართველო“, „კავკასია“, რუსეთი“, კრემლი.“ ენის ცოდნა არ არის საჭირო, მთავარია, ლათინური შრიფტის წაკითხვა შეეძლოს დაინტერესებულ პირს.

გარდა ამისა, ქალმა, რომელმაც სულ მცირე ხნის წინათ ეს სიტყვები თქვა: „თუ ევროპას არ შეუძლია გავლენა იქონიოს 3,7 მლნ მოსახლეობის მქონე ქვეყანაზე, როგორ აპირებს ის კონკურენციის გაწევას 21-ე საუკუნის გიგანტებთან?“ და ახლახან: „აშშ-ს არ შეუძლია კავკასიაში დამცირდეს 3,7 მლნ მოსახლეობის მქონე ქვეყნის მიერ“, ვერ და არ იტყოდა იმ სიტყვებს, „საქართველო საბურთაოდ“ გაიხადეთო, თუ არ იტყოდა?! ეს არაქალი ხომ იმ მენშევიკ-ფაშისტების გაგდებულია, გემებით სამშობლოდან რომ გაიხვეწნენ, ხელს საქართველოს საგანძური გააყოლეს და ფაშისტებს ეგებოდნენ ფეხქვეშ, მიწასთან გაასწორეთ ჩვენი სამშობლო, საბჭოთა კავშირიო.

ამ ქალის ბიძის ფაშისტობის შესახებ აშშ-ის არქივში მოიძიებთ მასალებს, ხოლო ეს ქალი რომ ბანდერას გულმხურვალე მიმდევარი იყო, ამას საარქივო ფოტო ადასტურებს. 21 წლის გოგონა უკვე ისეთი მომხსენებელია, რომ მას გულისყურით უსმენს ნაცისტი სტეპან ბანდერას მარჯვენა ხელი, ნაცისტი იაროსლავ სტეცკო, ეს კი ის სტეცკოა, რომელმაც ჰიტლერს მისწერა: „მე მხარს ვუჭერ ებრაელების განადგურებას და უკრაინაში გერმანული მეთოდების დანერგვის მიზანშეწონილობას“.

იმედია, ახლა მისგან ბევრი რამ აღარ გაგიკვირდებათ. ნაპრეზიდენტალი ხომ იგივე ნაცისტი არაქალია, რომელიც „მარტის აქციების“ დროს ისედაც წკიპზე არსებულ სიტუაციაში ახალგაზრდებს სისხლისღვრისკენ აღტკინებული მოუწოდებდა ვაშინგტონიდან; აღარც ის გაგიკვირდებათ, რატომ შეიწყალა პოლიციელის ცოცხლად დამწველი გრიგორიადისი; აღარც ის გაგიკვირდებათ, რომ მისი კურატორობით დაიწყეს სკოლებიდან მოსწავლეების გამოყვანა აქციებზე; ასევე, აღარც უწლოვანი ბავშვების პოლიტიკაში ჩართვა და მაშხალების ცეცხლში გამოყვანა გაგიკვირდებათ; აღარც ის, რომ არასრულწლოვანმა, „ფაშისტური იდეოლოგიის“ ნიადაგზე თანატოლი სასიკვდილოდ დაჭრა; არც ის გაგიკვირდებათ, თბილისში, რამდენიმე ადგილზე ფაშისტური მოწოდებები რომ მიაწერეს ზრდასრულმა მამრებმა (კაცებს ვერ ვუწოდებ): „მოკალი ქოცი!“

კიდევ ბევრი რამ აღარ გაგიკვირდებათ.

ზურა ოქსერელი

ხელისუფლებამ შეძლო აქციებისთვის აგრესიული ფონი მოეხსნა

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, რადიკალური ოპოზიცია პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე უარს ამბობს, ხალხი ისევ ქუჩაშია — აქციები გრძელდება, ევროპა კვლავ დემოკრატიის უკუსვლაზე გვსაყვედურობს. ამ ფონზე პროცესების განვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?

— ვითარება საკმაოდ მძიმეა — პროცესები ჯერ არ დასრულებულა. საპროტესტო ტალღა, რაც ორ თვეზე მეტია, რუსთაველის გამზირზე „ჩქეფს“, ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს, თუმცა, მას რადიკალური ოპოზიცია დასავლეთის მხრიდან რეაგირების მოხდენის მიზნით იყენებს. აქ არსებული მეხუთე კოლონა ცდილობს, უწყვეტი პროტესტის ჩვენებით შექმნას საფუძველი, რათა აშშ-მა და ევროკავშირმა მთავრობას სანქციები დაუწესონ და მსგავსი ზეწოლის შედეგად, ხელახალი არჩევნების ჩატარება აიძულონ. გარდა ამისა, კანონი არ შეეხოს იმ ადამიანებს, ვინც საკანონმდებლო ორგანოში შეჭრას და მისი და ასევე, პოლიციელების დაწვას ცდილობდა. აცხადებენ, რომ ამ პირების დაკავება ადამიანების უფლებების დარღვევაა.

აქვე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი რამ — ტექნოლოგიები ტრანსფორმაციას განიცდის. თუკი ადრე, დასავლეთი თავისი ტექნოლოგიებით და ადგილზე მომზადებული მეხუთე კოლონის საშუალებით, ხელისუფლების შეცვლას გადატრიალების გზით, ე. წ. ყვავილოვანი რევოლუციით მარტივად ახდენდა, ახლა ამის რესურსი აღარ აქვს და თან ეს მეთოდიც მოძველდა. ისღა დარჩათ, მეხუთე კოლონას ყოველდღე აძახებინონ: არჩევნები გაყალბდა და ხელახალი უნდა დაინიშნოსო.

პირადად მე ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვარ. ვინც პოლიციელებს წვავს, თუ სამართლებრივი სახელმწიფო გვქვია, ამისთვის პასუხი უნდა აგოს. ასევე, ის პოლიციელიც უნდა დაისაჯოს, ვინც წაქცეულს სახეში ფეხს ურტყავს. მაგრამ ჟურნალისტის დაკავების ფაქტზე ატეხილი აჟიოტაჟი არ მესმის. ტელევიზიით ყველამ ვიხილეთ, როგორ გააწნა სილა პოლიციელს. რა გამოდის, ჟურნალისტს, პროტესტის მონაწილეს, კანონი არ უნდა შეეხოს? ამერიკაში პოლიციელის მიმართ ხელი რომ აღმართო, პირდაპირ გესვრის, მოგკლავს და ამისთვის არც არავინ გაასამართლებს. კი ბატონო, სოლიდარული ვარ გასაჭირში მყოფი ადამიანის მიმართ, მაგრამ უკანონობის მხარდაჭერა ქვეყნის ჩამოშლის ტოლფასია.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ მუშაობს პროპაგანდა — დაფინანსებული ჯგუფები (ნჯო-ები და სხვა), რომლებიც ამ საქმიანობაში ხელფასს იღებენ, სხვადასხვა ფენის ადამიანების ტვინის გამორეცხვაზე მუშაობენ.

მინდა გითხრათ, რომ არაერთი პარამეტრის მიხედვით, საქართველო ბევრად სტაბილურად, მყარად გამოიყურება, ვიდრე ევროპის რიგი ქვეყნები. წამყვან ქვეყნებშიც კი, როგორებიც გერმანია და საფრანგეთია, ეკონომიკური რეცესიაა. ევროპამ თავისი სუვერენული ფუნქციები დაკარგა. ილონ მასკს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ თქვა, ევროკავშირი მალე დაიშლებაო. ილონს მაშინვე საშინაო საქმეებში ჩარევა დააბრალეს. აქ კი ყოველდღიურად რომ ერევიან და საპროტესტო ტალღას ამაგრებენ, ეს ვითომც არაფერია. სამწუხაროდ, დასავლეთის მხრიდან ჩვენ მიმართ დამოკიდებულება პარტნიორული კი არა, მომხმარებლურია — ის უნდა შეასრულო, რაც მას სურს. „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფოებრივი პოზიცია დააფიქსირა და მაშინვე თავდასხმა დაიწყეს. სალომე ზურაბიშვილს უგვირგვინო დედოფალივით აქეთ-იქით დაატარებენ და „ამხნევებენ“, ლეგიტიმური პრეზიდენტი შენ ხარო. საქართველოზე ზეგავლენის მოსახდენად უკან არაფერზე იხევენ.

— რით არის განპირობებული დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ასეთი გაცხოველებული ინტერესი?

— იმით, რომ საქართველოს, შავი ზღვა-კასპიის კორიდორის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა. ყველაზე დიდი პერსპექტივა ლოჯისტიკური ტვირთბრუნვის ზრდას აქვს, რაც შემოსავლების ძირითადი წყაროა და სახელმწიფო ბიუჯეტში აისახება. ჩინეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მისთვის ერთი მსოფლიო, ერთი სარტყელი, უმნიშვნელოვანესია. ჩინეთისთვის ეს სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულება და მისი უსაფრთხოების გარანტიაა. ჩინეთში წარმოებული პროდუქციის 95% ზღვის და პორტების მეშვეობით გადის.

მოგეხსენებათ, აშშ-ს იაპონიის კუნძულებზე, რომლებიც ჩინეთთან ახლოს არის, ბაზები აქვს. ტაივანი მთლიანად ბაზაა. ასევე, ბაზები აქვს ფილიპინების, მალაიზიის კუნძულებზე. აშშ-ს თუ დასჭირდა, შეუძლია, ზღვაზე გაკეთებული ეს რკალი მთლიანად ჩაკეტოს და ჩინეთი დაღუპოს. ამიტომ სახმელეთო-სარკინიგზო მიმართულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენც ამ ინტერესის სფეროში ვართ მოქცეული, რაც აშშ-ს არ აწყობს, რადგან მისი სამხედრო დანახარჯები ჩინეთის ზღვის მახლობლად, უფასურდება.

— ამერიკას არც ის აწყობს, რომ ჩინეთმა საქართველოში ანაკლიის პორტი ააშენოს. მაშინ გამოსავალი რაშია?

— თუ აშშ-ს არ სურს, რომ ანაკლიის პორტი ჩინურმა კონსორციუმმა ააშენოს, მაშინ ამის საპირწონედ რამე უნდა შემოგვთავაზოს. ჩინეთთან ასეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას ტყუილად ხომ ვერ შევაჩერებთ?! ისე ვეღარ იქნება, თავში რომ ამოგვარტყამდნენ და თუ არ დავხრიდით, რევოლუციას მოგვიწყობდნენ. ამერიკას შეუძლია პრეფერენციები დაგვიწესოს. მაგალითად, საშუალება მოგვცეს ნახევრად ოფშორული საბანკო სისტემა განვავითაროთ, როგორც ეს შვეიცარიას, ვირჯინიის, მარშალის კუნძულებს აქვთ. რაც მთავარია, ეს საპირწონე უნდა იყოს იმ შემოსავლების, რაც ჩინური ხაზის და ანაკლიის პორტის ამუშავების შედეგად უნდა მივიღოთ. საბანკო სისტემის განვითარება საშუალებას მოგვცემს, აქ მსოფლიო ფინანსების აკუმულირება მოხდეს. აშშ-ს ასევე შეუძლია ჩვენი სექტორული მიმართულება — მრეწველობა და სხვადასხვა ეკონომიკური დარგები დააფინანსოს. სხვა შემთხვევაში, ჩვენი სუვერენიტეტის განმტკიცებაზე და სხვა სიკეთეებზე, რასაც ჩინეთი გვთავაზობს, უარს ვერ ვიტყვით.

— ხელისუფლება აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვის მოლოდინშია...

— დიახ, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ტრამპისა და „ქართული ოცნების“ შეხედულებები ემთხვევა — ფინანსური შემოსავლების გაკონტროლება, რათა ნჯო-ებს გადატრიალების მცდელობის შესაძლებლობა არ ჰქონდეთ. ნეოლიბერალური გარყვნილება უნდა დასრულდეს. ყველა ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობები უნდა დამყარდეს.

თებერვალში აშშ-ს, სახელმწიფო მდივნის, რუბიოს სახით, საქართველოს შესახებ პოზიციის დაფიქსირება მოუწევს. მნიშვნელოვანია, აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვის კუთხით რამდენად ეფექტურად იმუშავებს პრემიერი კობახიძე, საგარეო საქმეთა სამინისტრო. იმედია, აშშ-ის ახალ ადმინისტრაციასთან კარგი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდება. ჩვენ ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ ამერიკის მიერ შემოთავაზებული შესაძლო საინტერესო წინადადების გამო ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე უარი ვთქვათ, ან მარტო მასთან ვიმუშაოთ და აშშ გავანაწყენოთ. ბალანსი უნდა მოვძებნოთ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ საქმე გართულდეს. ჯერჯერობით, აშშ-ის მხრიდან პრეფერენციული დამოკიდებულება არ ჩანს.

— თუ ამერიკასთან ურთიერთობა ვერ დალაგდა, რა სცენარით განვითარდება მოვლენები?

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ, საით მივდივართ. ევროპის გზა ჩვენთვის გახსნილი არ არის, ეს ყველაფერი თამაშია. კულუარებში ევროჩინოვნიკები არც კი განიხილავენ, რომ ევროკავშირში მიგვიღონ. როგორც ვირი სტაფილოს ვერ ეწევა, ისე ვართ — მივრბივართ, გვგონია, რომ ვეწევით, ამ დროს, მას ვერც კი ვუახლოვდებით. თანაც ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირი შეიძლება კიდეც დაიშალოს. მისი დაშლის ინიციატორები გერმანია, საფრანგეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იქნებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ დაჩაგრულები არიან. ევროკავშირის შენარჩუნება მხოლოდ ბალტიისპირეთს და პოლონეთს სურთ. შინაარსობრივად ასეთი კავშირის შენარჩუნება არც ამერიკას უნდა, არც რუსეთს და არც ჩინეთს. ევროკავშირის პერსპექტივა ეკონომიკური ვარდნის პირობებში ბუნდოვანია.

ხელისუფლებამ საზოგადოებასთან უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს. განსაკუთრებით, იმ ხალხთან, ვინც ინფორმაციულ ვაკუუმშია და ჰგონია, რომ ევროპულ მომავალს ართმევენ. ჩვენ არ ვცხოვრობთ იმ ძველ დროში, როცა ინტელიგენციას მეტი ინფორმაცია ჰქონდა ნაკითხობიდან გამომდინარე. დღეს ეს ხალხი ვალდებული არ არის, გლობალური პოლიტიკის საკითხებში ერკვეოდეს და სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესებს სწორად ხედავდეს. მათ ეს არ აინტერესებთ. აი, ხელისუფლება კი ვალდებულია, მოქალაქეებთან მეტი იმუშაოს. ჯერჯერობით, საქართველო ლოგიკურ ჩარჩოებშია მოქცეული.

— ბატონო ლევან, ოპოზიცია ახალ გეგმაზე, მეტ რადიკალიზმზე გადავიდა და საგზაო მაგისტრალი გადაკეტა. თანაც ალტერნატიული პარლამენტის შექმნასაც აპირებენ...

— დიახ, რადგან სანქციებით შედეგს ვერ მიაღწიეს და ხელისუფლება ვერ ჩამოშალეს, ახლა შეეცდებიან, ალტერნატიული „ლეგიტიმური“ პარლამენტი შექმნან და ზურაბიშვილის პერსონაც წინ წამოსწიონ. მაგისტრალების გადაკეტვას რაც შეეხება, ეს დიდ უკმაყოფილებას წარმოშობს მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც აქციებზე არ დადის. შესაძლოა, საზოგადოებაში დიდი დაძაბულობა და სახიფათო დაპირისპირების კერები შეიქმნას, რაც რადიკალებს კიდეც აწყობთ. მეორე საკითხია ის, რომ ხელისუფლებამ შეძლო აქციებისთვის აგრესიული ფონის მოხსნა — ვანდალები, სამართალდამრღვევები დააკავა, ზოგის სასამართლო პროცესები ახლაც მიმდინარეობს. პროცესს გლობალურად რომ შევხედოთ, თუ აშშ ჩვენთან ურთიერთობებს გადატვირთავს, ამ აქციებსაც აზრი დაეკარგება. საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, რადიკალები აქციებზე იმისთვის დადიან, რომ ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

— ამერიკელ ჰაკერებზე დაყრდნობით გაირკვა, როგორ ფინანსდება რადიკალური აქციები, რასაც ოპოზიცია ხალხის მიერ თვითორგანიზებულს უწოდებს...

— დიახ, ეს ცხადყოფს, რომ თურმე საჭირო ყოფილა გამჭვირვალობის კანონის მიღება. მსგავსი კანონი ხომ აშშ-შიც არის და ევროპაშიც. მათ უნდათ, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესები დაიცვან, მაგრამ ჩვენ რომ გავაკონტროლოთ, რაში იხარჯება უცხოეთიდან შემოსული ფული, ეს დაუშვებელია და ანტიდემოკრატიული ქმედება ყოფილა. დიახ, დაფინანსება უნდა გაკონტროლდეს. ჯერჯერობით, კანონის აქტიურად ამოქმედებას ვერ ვხედავ — არც არავინ დასანქცირებულა და არც ფუნქციონირება შეჩერებია რომელიმე ნჯო-ს. არც იმ ორგანიზაციებზე გვაქვს ინფორმაცია, ვინც ლეგალურად მუშაობს და დეკლარაციას ავსებს. ჩვენ არ ვიცით, თუნდაც რას აკეთებენ ისინი და თანხებს რაში ხარჯავენ. ხელისუფლებამ ხალხს ამის თაობაზე ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოს.

თამარ შველიძე

რუკას დახედეთ!

„დახედეთ რუკას, მეზობლებს შეხედეთ და თუ სხვაგან გადასვლას არ აპირებთ, იყავით ფრთხილები და იყავით რეალისტები!“ — დაგვიტოვა სიტყვა 2024 წლის ბოლოს კოლუმბიის უნივერსიტეტის დირექტორმა ჯეფრი საქსმა და კიდევ ბევრი საგულისხმო რამ გვითხრა.

მისი სიტყვების შემდეგ, საქართველო ავიღე ათვლის წერტილად და ინტერესით ჩავუჯექი რუკას. მკითხავი რომ ყავის ჭიქაში კონტურებს ხედავს, ასე დავინახე ის კონტურები, რაზეც არასდროს მიფიქრია და „ჩრდილოეთიდან — ჩრდილოეთამდე“ დავარქვი.

რა სახის საგარეო პოლიტიკას მოიტანს აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია ტრამპის სახით, მალე ვნახავთ.

ტრამპმა ისეთი ლაპარაკი იცის, სიტყვიერად თავდაყირა აყენებს დამკვიდრებულ ამერიკულ საგარეო პოლტიკას, ნატო-საც კი გადასწვდა და სამხედრო ალიანსიდან გამოსვლაზე დაასველა სიტყვა, თუმცა, ტრამპი რომ ვერ იქნება აშშ-ის ერთპიროვნული მმართველი, თვითონაც იცის და დიფ-სტეიტის წინააღმდეგ ბრძოლაც ამიტომ მოიგდო წინ.

შეუვალ გარდაუვალობაზე არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მხოლოდ ჩემი მოსაზრება მალაპარაკებს, ისიც იმიტომ, რომ ჯეფრი საქსმა დაგვიბარა, „რუკას დახედეთო“ და მეც დავხედე.

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ანალენა ბერბოკმა თქვა, ომისთვის მზად უნდა ვიყოთო; ზოგადად, მთელ კრებსით დასავლეთს ომისთვის მზადება აქვს გამოცხადებული, მაგრამ, ფაქტობრივად, თავდასაცავად ემზადებიან — რა უცნაურები არიან...

იმ ევროპარლამენტარმა რომ თქვა, თვითონ ეშინიათ და სამმილიონიან საქართველოს ედავებიან, რატომ არ ეომები რუსეთსო, — რატომ უნდათ, რომ ერთი-ორი კვირა მაინც გვხოცონ, მათ რაში წაადგებათ?

ჩრდილოეთიდან ჩრდილოეთამდე

საქართველოში ომის ატეხვით, უკრაინას ჩვენ რომ ვერ გადავარჩენდით, იმთავითვე ცხადი იყო, მაგრამ რატომ არ ასვენებთ გამჩენი გამოკვეთილად ბალტიისპირელ ევროპარლამენტარებს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რუკამ მითხრა.

გასული წლის დეკემბრის შუაწელი იყო, ესტონეთის პრემიერ-მინისტრმა კაია კალასმა დასავლეთს მოუწოდა, შეწყვიტეთ ზელენსკისთვის სამშვიდობო მოლაპარაკებებისკენ ბიძგის მცდელობებიო.

რა თქმა უნდა, მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ დიდხანს გაგრძელდეს ომი უკრაინის ტერიტორიაზე უკრაინელების სისხლისღვრის ფასად და დაერთოს ახალი სისხლისღვრა სამხრეთით კავკასიის სახით, კონკრეტულად, საქართველოში რომ ატყდეს რუსეთთან ომი. რა დემოკრატია და არჩევნები, რომელი ევროპული ორიენტაცია და ვისი დიქტატურა, რაში ვენაღვლებით, რა საერთო გვაქვს... საქართველოს შიდა კონფლიტებიც აწყობთ, რადგან სანქციების გვერდის ავლით გაცხოველებული ვაჭრობა რომ აქვთ რუსეთთან გაჩაღებული, პერსპექტივაში სახიფათო კონკურენტად არის გამოკვეთილი საქართველო, კიდევ უარესი — ჩამნაცვლებლად.

სხვა ვერაფერს ვხედავ — ბალტიისპირელებს გასული საუკუნის 90-იანი წლებში საბჭოთა კავშირიდან ქართველების სისხლის ქვეშ ეშმაკური გაძვრომის გამეორება უნდათ და ამას არც მალავენ კრებსითი კუბილიუს-კალას-მალასები და სკანდინავიის ქვეყნებიც. არ არის გასაკვირი, ყველა სათავისოდ ფიქრობს, ამ შემთხვევაში, ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგრამ აბა, რუსეთს ჰკითხონ!..

ბალტიისპირელებმაც „რუკას დახედეს“ და ვერ არიან არხეინად, ყველანაირად ცდილობენ, რომ რამენაირად აიცილონ კონფლიქტი რუსეთთან — შეძლებისდაგვარად პუტინსაც კი მიუცუცქდნენ. კი, ნამდვილად კონფლიქტი დაერქმევა, როგორც უკრაინასთან ომს ჰქვია კონფლიქტი და არა ომი.

აბა, ერთად დავხედოთ რუკას — ბალტიის ზღვის ქვეყნების წინაშე დგას თუ არა საშიშროება, რომ რუსეთის ფედერაციისგან კარგი არაფერი ელით?

ისტორიულ ამბებს მერე მოვხედოთ, რაც ცხელია და ხელისგულზე დევს, ის ვთქვათ — უკრაინაში მიმდინარე ხოცვა-ჟლეტის ფონზე ფინეთ-შვედეთმა დაარღვია ნეიტრალიტეტი და შვედეთი 32-ე წევრად გაწევრიანდა ნატო-ს ბლოკში, რითიც მნიშვნელოვნად შეეზღუდა რუსეთს ბალტიის ზღვაზე გასასვლელი.

პირადად მე საინტერესოდ მეჩვენება ის ამბავი, რომ შვედეთმა და ფინეთმა ნატო-ში გაწევრიანებაზე განაცხადი 2022 წლის მარტში წარადგინეს, უკრაინაში ომის დაწყებისთანავე. ფინეთი ერთ წელში გაწევრიანდა, შვედეთის გაწევრიანებას კი უნგრეთი და თურქეთი ბლოკავდა, მხოლოდ 2024 წლის მარტში მიიღეს ალიანსში.

რამ შეაშფოთა ნეიტრალური ქვეყნები და რატომ? რატომ ბლოკავდნენ შვედეთს უნგრეთი და თურქეთი, ერთი წლის შემდეგ კი რა მოხდა, რატომ გადაიფიქრეს, ეს ხომ ის ქვეყნებია, რომელთაც რუსეთთან კონფლიქტი არც სურთ და არც აწყობთ? და რომ რუსეთსაც ხმა არ ამოუღია და განაწყენებულიც არ დარჩა, რატომ? — ხელაღებით არ გავცემ ამ შეკითხვებს პასუხს, ლოგიკა თვითონ იძლევა პასუხებს...

რუსეთ-შვედეთის ომის სახელით ცნობილი კონფლიქტი მოსკოვის დიდ საჰერცოგოსა და შვედეთის სამეფოს შორის ფინეთის ყურის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე კონტროლის გამო ატყდა. მოსკოვის მიზანი იყო ბალტიის ზღვაზე წვდომის უზრუნველყოფა, შვედეთი კი თავისი გავლენის შენარჩუნებას ცდილობდა. კონფლიქტი ტერიტორიული ცვლილების გარეშე დასრულდა, მაგრამ საფუძველი ჩაეყარა მომავალ კონფლიქტებს — ცხადი გახდა, რომ მოსკოვი ჩრდილოეთ ევროპაში თავისი გავლენის გაზრდას ეცდებოდა, — ეს ხდება მე-15 საუკუნეში.

ახლა არ ვიცი, მაგრამ სანამ „ვრემია“ მახსოვს, ამინდის პროგნოზში ჩვეულებრივ, ვიბორგის მხარისა და კარელიის ამინდის პროგნოზსაც აცხადებდნენ. მიკვირდა, მაგრამ მაშინ ვერავინ ამიხსნა, რა შუაში იყო ეს მხარეები საბჭოთა კავშირის ამინდის პროგნოზში. ეს კი არა, ჩემი ბიძაშვილი კარელიაში მსახურობდა ჯარში და ვერ ვიგებდი, რანაირად იყო კარელია საბჭოთა კავშირი.

ჩრდილოეთის ომში, ნიშტადტის ზავით 1721 წელს შვედეთმა რუსეთს დაუთმო აღმოსავლეთ ბალტიისპირეთი. სამშვიდობო ხელშეკრულებით რუსეთმა შეიერთა მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ბალტიის ზღვაზე გასასვლელი მოიპოვა. ასე გაჭრა პეტრე პირველმა „ფანჯარა ევროპაში“.

რუსეთ-შვედეთის ომი, რომელიც „ფინეთის ომის“ სახელით არის ცნობილი, 1809 წელს დასრულდა და ფრიდრიკსჰამნის ხელშეკრულებით, ფინეთი რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიური სამთავროს სახით შევიდა.

სხვათა შორის, როდესაც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი დაიწყო, შუაგული ევროპიდან არ ყოფილა ხმა, ბალტიისპირეთიდან დაიწყო, რომ უკრაინის შემდეგ ომი ევროპას მიადგებოდა. პირადად მე იმასაც განვიხილავდი, ვინ იხეირებს უკრაინის დაქუცმაცებით, რომელი ევროპული სახელმწიფოები.

ომები, თუ ის სამამულო არ არის, ყოველთვის მტაცებლურია. როდესაც პეტრე პირველი „ფანჯარას ჭრიდა“ ევროპაში, შვედეთის წინააღმდეგ რატომ იყვნენ კოალიციაში დანია, საქსონია, პოლონეთი და ბოლო ეტაპზე პრუსიაც? ფინეთის ომის დროს შვედების წინააღმდეგ რატომ იყვნენ კოალიციაში დანია, ნორვეგია და საფრანგეთი.

ამ უკანასკნელს რაღა რჯიდა? ამ დანიას დამიხედეთ, თითქოს არ ჩანს, მაგრამ კოალიციებში რუსეთის მხარეს თავს არ იშურებს...

ვითომ უკრაინაზე წუხს ვინმე — ლოგიკიდან გამომდინარე, ყველა იმ ევროპულ სახელმწიფოს აქვს ინტერესი, რომ ის ტერიტორიები დაუბრუნდეს, რომელიც უკრაინას მათგან აქვს მიტაცებული რუსეთის ხელით. ამდენად, მათი ყალბი ვაი-ვიში საბრალო უკრაინაზე, ძირშივე თვალთმაქცობაა — ელემენტარულია, უკრაინა, როგორც ქვეყანა, არ არსებობდა, „კიევის რუსეთი“ იყო, რუსეთმა შეაკოწიწა და ქვეყნად აქცია.

რასაც ვხედავთ, რუსეთს ლამის მთელი ნატო ებრძვის უკრაინის სახელით და ათასგვარ სანქციებს უწესებენ, ამავდროულად კი სანქციების გვერდის ავლით არც ვაჭრობა შეუწყვეტიათ და არც კომუნიკაცია, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე, — კვლავ ორმაგ სტანდარტთან!

ამ ფონზე ყოჩაღ, „ქართულ ოცნებას“, რომ წაუბორძიკებლად, ფრთხილად გავყავართ ალესილი სამართებლის პირზე „მშვიდობის დროშით“ ხელში...

სხვა სხვის ომში ბრძენიაო და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთი რომ თავს დაესხას ბალტიისპირეთის ქვეყნებს და „დასაჯოს“, სრულებით არ ჩანს წარმოუდგენელად, პირიქით, როგორც სხვა აკვირდება ევროპულ „მდინარებებს“, რუსეთი მთავარი მოქმედი პირია და თვითონ არ აკვირდება?

როგორც გარედან დამკვირვებელი, რუსეთის „ტყავში“ რომ ჩამსვან, ახალ რუსეთ-შვედეთის ომს წამოვიწყებდი, რადგან ნეიტრალიტეტის გადათქმის ფაქტით სამხედრო მოქმედების საფუძველი მაქვს, მით უმეტეს, რომ ფაქტობრივად, „ფანჯარა“ ამომიქოლეს და ვატყობ, კრებსით დასავლეთს მადა ჭამაში მოსდის.

ნატო რა არის? — აშშ და მასზე დამოკიდებული სუსტი ევროპა!

სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ნატო, რომელიც თავის დროზე საბჭოთა კავშირის საპირწონედ შიშის გამო შეიქმნა, საბჭოთა კავშირის დაშლის კვალდაკვალ ისე დაჩაჩანაკდა, რომ შიგნითვე წარმოექმნა მთელი რიგი კონფლიქტები.

გარედან მაყურებელს მიჩნდება აზრი და თვით რუსეთისთვის არ იქნება საინტერესო ბალტიის ქვეყნებზე თავდასხმა? რუსეთი არ ფიქრობს, მე ვფიქრობ, რომ ნატო-ს წესდების მე-5 მუხლი ისეა გადაყვლეფილი, რომ ბალტიის ქვეყნებზე თავდასხმით რუსეთი კიდევ ერთხელ მასხრად აიგდებს, დაამტკიცებს, რომ ეს მუხლი ისე არ მუშაობს, როგორც მცირედ მცოდნეებს წარმოუდგენიათ.

და, ამ ნატო-ში გაწევრიანებისთვის დაგვეხოცა ნარჩევი ბიჭები სხვა ქვეყნების ინტერესების დასაცავად რაღაც მისიებში? ამ გაქუცულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ სწრაფვა მიწერია ჩემი სამშობლოს კონსტიტუციაში? ან იმ რეპუტაციაშელახულ, კორუმპირებულ და მყვლეფელ ევროკავშირში რა დამრჩენია? რა უნდა ორგანიზაციებს ნებისმიერი ქვეყნის კონსტიტუციაში, ასეთი სიგიჟე სადმე რომელიმე ქვეყანას კიდევ უწერია?

ბალტიისპირეთის შიში თუნდაც კალინინგრადის გამო არ არის უსაფუძვლო. ახლა როგორ მორიგდნენ, ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან მორიგება დროებითია, მით უმეტეს, სამხედრო ტექნოლოგიებით გაძლიერებული რუსეთისთვის.

როდესაც უკრაინაში ომის დაწყების გამო კალინინგრადის იზოლირების საკითხი გამოიკვეთა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ თუ უახლოეს მომავალში არ აღდგება კალინინგრადსა და რუსეთის დანარჩენ ტერიტორიებს შორის ტვირთების გადაზიდვა ლიეტუვის გავლით, რუსეთი იტოვებს უფლებას, მიიღოს ზომები საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად. მარია ზახაროვამ უფრო ნათლად თქვა, რუსეთის პასუხი დიპლომატიური კი არა, ქმედითი იქნებაო.

საქმე ის არის, რომ კალინინგრადი, ყოფილი კიონიგსბერგი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა რუსეთის ხელში, როდესაც დამარცხებული ნაცისტური გერმანიის აღმოსავლეთი ტერიტორიები, რომლებიც გერმანიას და პრუსიულ სახელმწიფოებს ეკუთვნოდათ, საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა გადაინაწილეს.

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ნატო-ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ევროპის შუაგულში მოხვედრილი აბსოლუტურად რუსულად გადაქცეული კალინინგრადი რუსეთისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიად იქცა. კალინინგრადის ოლქშია განთავსებული რუსეთის ბალტიის ზღვის ფლოტი, სარაკეტო და საარტილერიო, საჰაერო, სატანკო, სადესანტო და მექანიზებული ბრიგადები. კრემლს ვერავინ დაუშლის, თავის ტერიტორიაზე განათავსოს საშუალო და მოკლე მანძილის დამიზნებითი ან არაზუსტი სარაკეტო სისტემები და მიიღოს ბირთვული წყალქვეშა ნავები. კალინინგრადის კონტროლით რუსეთი დამატებით აკონტროლებს ბალტიის ზღვის აკვატორიასაც.

პრეცედენტი თუ შეიქმნა და აღმოსავლეთ ევროპაში ყველამ თავისი თუ მოითხოვა, დიდი ამბები ატყდება საყველიეში, ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე გაფაციცდება და ვინ ვის მოიაზრებს მფარველად და ვისი ქოლგის ქვეშ შეძვრება, მართლა საკითხავია. პირადად მე ორბანის კაშნეს ვერ ვივიწყებ, „დიდი უნგრეთის რუკა“ რომ იყო გამოსახული და 2022 წელს ფეხბურთის მატჩზე ჰქონდა თვალსაჩინოდ მხრებზე შემოგდებული.

ორბანის კაშნეზე გამოსახული რუკა და რეალობა ერთმანეთს რომ შევურწყათ, აღმოჩნდება, რომ უკრაინა, სერბეთი, ავსტრია, სლოვენია, რუმინეთი და ხორვატია უნგრულ მიწებზე ხარობენ... პოლონეთი ლვოვს მისტირის და ა. შ.

გასული წლის 19 დეკემბერს ვუსმინე აუდიტორიის წინაშე ვლადიმირ პუტინის გამოსვლას. ყოველგვარი ნართაულების გარეშე პირდაპირ მიმართა კრებსით დასავლეთს: ტექნოლოგიური ექსპერიმენტი ჩავატაროთ, ასე ვთქვათ, მაღალტექნოლოგიური დუელი. განათავსონ გასანადგურებელი რაღაც ობიექტი, ვთქვათ, კიევში და განათავსონ თავიანთი მთელი დამცავი სისტემები, ჩვენ კი გავუშვებთ „არეშნიკს“ და ვნახოთ, რა მოხდება, ჩვენ ასეთი ექსპერიმენტისთვის მზად ვართ, მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე თუ არის მზადო? ყოველ შემთხვევაში, ამას არ გამოვრიცხავო; რასაც მე ვამბობ, ამას მეუბნებიან სამხედრო დარგის სპეციალისტები, ინჟინრები, მეცნიერები — იქით, აშშ-ში რაღაცებს რომ ამბობენ (იგულისხმა, რომ არაფერი განსაკუთრებული რაკეტა არ არისო), ჩავატაროთ ასეთი ექსპერიმენტი, საინტერესოა, სასარგებლო იქნება ჩვენთვისაც და ამერიკისთვისაცო. ბაიდენი გამახსენდა, „ცირკოზე“ თუ „კინჟალზე“ რომ თქვა, არაფერი განსაკუთრებული რაკეტა არ არის, უბრალოდ, ჩვენ მისი ჩამოგდების საშუალება არ გვაქვსო...

გამოცემა **Newsweek**-მა წარმოადგინა ნატო-სა და რუსეთის ფედერაციას შორის მე-3 მსოფლიო ომის სავარაუდო სივრცე და ომის განვითარების სავარაუდო სცენარები. სივრცე მოიცავს ბალტიის ზღვას, ფინეთის საზღვარს და თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიებს შავ ზღვაზე.

ვარაუდებზე თუ გადავალთ, ახლო მომავალში, ევროკავშირს, გარდა ეკონომიკური დეგრადაციისა, ფაქტობრივად, გამოკვეთილად უჩანს გადაულახავი სამხედრო პრობლემები ჩრდილოეთ ევროპაში, თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიებისა შავ ზღვაზე ჯერჯერობით, გამძაფრებულად ვერ დავინახე. ისე კი, თურქეთი, სანამ ერდოღანი ჰყავს ან მისი მსგავსი ეროვნული მმართველი ეყოლება, რუსეთთან ომის წამომწყები არ იქნება.

„დახედეთ რუკას და მეზობლებს შეხედეთ!“

დავხედე რუკას. შევხედე მეზობლებს. გეოგრაფიული მდებარეობა ვერ შეიცვლება — ვერც მეზობლები. ფრთხილად ვართ. რეალისტებიც ვართ, მაგრამ მაინც, ზის საქართველო გასაპუტ გუგულად ორ ზღვასშუა და ჩემი არ იყოს, „რუკას უყურებს“ — მხოლოდ რუკის ყურება აღარ უშველის საქმეს, როცა საქმე საქმეზე მიდგება.

სახელმწიფო საქართველოს საძებარი არავინ ჰყავს, ხელისგულზე უდევს საქართველოს მტრების მთელი აგენტურული ქსელი, რომელიც ტარაკანებივით უმრავლდება თვალის დახამხამებაში და სანამ დროა, თუ არ მოაშთობს სამარადისოდ, იბერია გაბრწყინდება კი არა, სახელი „საქართველოც“ კი წაიშლება... ამჯერად იმას აღარ ჩავეძიები, რომ, რაც არ არის, ის ვერც გაბრწყინდება...

ზოგადად, ომები მეზობელ ქვეყნებს შორის წარმოებს, აღარ არის ისე, რომ „ა“ პუნქტიდან დაიწყებდა ლაშქრობას ვინმე და ყველაფერს ლეკავდა გზაზე სადამდეც ძალა ეყოფოდა, თუმცა, დომინოს პრინციპით ასეც ახლაც შეიძლება, თუ რომელიმე სახელმწიფოს ძალა და ამბიცია ერთდროულად ექნა.

ოთხი მეზობელი გვყავს, ერთმანეთზე წუწკები და მტაცებლები: რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. მათგან ერთია უმთავრესი, რუსეთი, რომელიც თურქეთს აბალანსებს და კავკასიაზე ტორი უდევს. არ იქნება რუსეთის ინტერესი საქართველოში და ის სამი ისე შეთანხმებულად გაიყოფენ ერთმანეთში საქართველოს, როგორც გამზადებულ გეგმად აქვთ. ამის დანახვა და გაგება ნუთუ ასე ძნელია?

რა მოცემულობაც არის, იმაზე მეტად ვეღარ გავშლით რუკას — რუსეთის გარდა, სამივეს საქართველოს ტერიტორია უნდა, რუსეთს კი უსაფრთხოების გარანტია! არ გამაცინოთ, რუსეთს საქართველოს დაპყრობა უნდა და ვერ იპყრობს?

რუკა გეუბნება, რა არჩევანის წინაშე დგახარ და თუ „გაბრწყინებას“ ელოდები, უპირველესად, მშვიდობა უნდა გქონდეს!

გადახედეთ უკრაინაში ომის წამოწყების მთავარ მიზეზს — უმარტივესია, რუსეთი შენგან ელოდება მხოლოდ უსაფრთხოების ვალდებულების აღებას!

გეოგრაფიულ მეზობლებს ვერ გამოცვლი, ამიტომ, როცა ბირთვულ სახელმწიფოს სამხედრო ტექნოლოგიებით ვერცკი მიუახლოვდები, მაგრამ მტრად უცხადებთავს, ან სახელმწიფოებრივად მოაზროვნე არ ხარ, ან საკუთარი სამშობლოს გამოცხადებული მტერი ხარ — რამდენი ბომბიც იყო დათვლილი საქართველოს გასაქრობად, იმდენად არის დაპატარავებული შაგრენის ტყავივით, რომ ის რაოდენობაც აღარ არის საჭირო...

თავი მოგვწონს საქართველოს დამოუკიდებლობითა და სუვერენიტეტით, მაგრამ ხომ ვხედავთ, რომ რეალურად სხვის მოთხოვნებზე, ბრძანებებზე, მითითებზე, დარიგებასა და შეფასებებზე ვართ დამოკიდებული. და აი, ამ შეუმდგარ ქვეყანას გვინდა ისეთივე „პროქსი ომი“ როგორიც უკრაინაშია?

თვით ეს განსაზღვრებაც როგორი ყალბია — „პროქსი ომი“ ჰქვია დიდი სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ ომს, როდესაც თვითონ არ არის მონაწილე, მაგრამ რანაირად არ არის მონაწილე, მეტი როგორღა იმონაწილეონ, როდესაც ლამის მთელი ნატო იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ?

ჰოდა, ასეთი ყალბი სახელმწიფო ვართ ჩვენ და ვიქნებით ასეთად, სანამ კონსტიტუცია სამარცხვინოდ განმისაზღვრავს, რომელი ორგანიზაციისკენ სწრაფვაში უნდა ვათენ-ვაღამებდე და იმას ვფიქრობდე, ჩემი პოლიტიკური არჩევანი როგორ მოეწონებათ ბრიუსელში ან ვაშინგტონში!

სანამ სხვას უნდა დავეკითხო, რა კანონი მივიღო; ვისთან გავაბა სავაჭრო ურთიერთობა და ა. შ. ხოლო თუ არ დავუჯერებ იმ სხვებს, რევოლუციები უნდა მომიწყონ და მკვლელობებისკენ წააქეზონ დემოკრატიის მანტიით შემოსილმა მკვლელებმა, მოსყიდული უსამშობლო არაადამიანები...

მოცემულობა ერთია — შეუცვლელი გეოგრაფია! ან უნდა ვისწავლოთ ამ მოცემულობაში ცხოვრება და მივყვეთ საკუთარი სამშობლოს აყვავების იდეას, ან უნდა გავქრეთ — ძნელი გასააზრებელია ეს უმარტივესი მოცემულობა?

უკრაინამ ჩვენ მაგალითზე ვერ ისწავლა, რა მოგვივიდა ბუქარესტის სამიტის შემდეგ და ჩვენ მაინც ვისწავლოთ დღევანდელი უკრაინის მაგალითზე, რომ მხოლოდ ორ ზესახელმწიფოს შორის მიმდინარეობს ბრძოლა გავლენების გამო, დანარჩენი, ყველა, გაბეჩავებული ევროპის ჩათვლით, პაიკია.

ჩვენ არ ვართ არც აშშ და არც რუსეთი, საქართველო ვართ და საქართველოდ რომ დავრჩეთ, ნების გარდა, რა უდგას წინ?

ძაღლის ნაკბენივით მახსოვს — 2008 წლის აგვისტოს ომში, აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი საქართველო შეშფოთება-აღშფოთებისა და სასმელი წყლით დახმარების იმედად რომ დაგვტოვა კრებსითმა დასავლეთმა 26 000 ათასი მდინარისა და 800 ტბის ქვეყანაში. ამ დროს ზელენსკი მასხრად გვიგდებდა „კომედი შოუს“ სკეტჩში...

პირიქით რომ ყოფილიყო, რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი ვყოფილიყავით და აშშ დაგვსხმოდა თავს, რუსეთი ასე მოიქცეოდა? — შანსი არ არის, ვერავინ გადამარწუნებს!

ჩვენ, რაგინდ ანტიამერიკული განწყობები გაჩნდეს, არანაირად არ შეგვიძლია გავხდეთ აშშ-ის მტერი, მაგრამ რუსეთისთვის საფრთხის შემცველ და პერსპექტივაში მტრად გახდომაც შეგვიძლია აშშ-ის საქართველოში ჩაყენებით და უსაფრთხო ქვეყნად დარჩენაც და მეგობარ ქვეყნად ქცევაც. პრეტენზიები, რომლებიც რუსეთის მიმართ გვაქვს, უცვლელია, მაგრამ ეს ის პრეტენზიებია, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ რუსეთს შეუძლია და სხვას არავის — თუ არ დაელაპარაკე იმ რუსეთს, ის არ დაგიწყებს აქეთ ხვეწნას...

რუსეთს დალაპარაკება უნდა და არ ველაპარაკებით, სამაგიეროდ, იმათ ვეხვეწებით, რაღაც ორგანიზაციებში მიგვიღეთო, ვისაც ფეხებზეც არ ვკიდივართ, არარაობა ვართ მათთვის.

ვცრუობ?

ნატო — ასპირანტი, მაპი, მაპზე უკეთესი...

ევროკავშირი — წევრობის კანდიდატი, დათქმები, საუბრის გახსნა-არგახსნა...

კარგით რა, ჰანგი მაინც შეცვალონ, გავიგეთ, რომ არავინ არსად არ მიგვიღებს... ისიც მაინტერესებს, ვინც „ძალიან ესწრაფვის“ ამ სულისმღაფავ ორგანიზაციებს, რომლებიც უკვე სრულიად შიშვლები წარდგნენ მსოფლიოს წინაშე, თვითონ მოწყდნენ რეალობას თუ ჩვენ ვგონივართ ვაკუუმში მყოფი ყურფიჩორა ხბოები?

დახედეთ რუკას და იყავით რეალისტები!

მაია ჭელიძე

ევროპა დღეს ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ცენტრი აღარ არის!



გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, პრემიერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სამთავრობო კომისია შეიქმნება, რომელიც საქართველოში საუნივერსიტეტო რეფორმას დაიწყებს. როგორ გესახებათ ამ იდეის განხორციელება?

— განათლების სისტემას ეროვნულობისა და თვითმყოფადობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველო მცირერიცხოვანი ერია. აგერ, ზურაბიშვილმა ამერიკის მისამართით თქვა, სულ 3 მილიონ 700-ათასიანი მცირე ერისგან დამცირება არ უნდა დაუშვათო. ის კი არ იცის, რომ სწორედ 3 მილიონ 700 ათასმა ადამიანმა შევინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა. შინაგანი განცდა, რომელიც ქართველ კაცს ჭეშმარიტად უნდა ჰქონდეს, ეს სამშობლოს სიყვარული და იმ ტრადიციების, ზნეობის ერთგულებაა, რაც საუკუნეებია, მოგვდევს. ქართველი გლეხი, როდესაც მიწას თოხნიდა, იქვე თოფიც ეკიდა, რათა საჭიროების შემთხვევაში, თავი დაეცვა. ევროპელები ამას ვერ გაიგებენ. ილია ამბობდა: ჩვენ როდესაც სამშობლოს ვიცავთ, ამით ჩვენს სარწმუნოებას ვიცავთ, ხოლო, როდესაც სარწმუნოებას ვიცავთ, ვიცავთ სამშობლოს. სარწმუნოება ის მორალური კოდექსია, რომლის ღალატიც ჭეშმარიტ ქართველს არ შეუძლია. ამიტომაც სირცხვილია, დღეს განათლების სისტემის უკუღმართობაზე რომ გვიწევს საუბარი.

განათლების სისტემის რღვევა ლომაიას ზეობის პერიოდიდან იწყება. მან არამარტო უმაღლესი სასწავლებლები, არამედ სკოლებიც გაანადგურა — ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ნულზე დაიყვანა. ამიტომაც არიან ახლა ახალგაზრდები ქუჩაში გამოსული და გაჰყვირიან, ჩვენი სამშობლო ევროპაა, იქ გვინდა ცხოვრება, ქართველი ხალხი ამას იმსახურებსო. დარწმუნებული ვარ, არცერთმა არ იცის, რა არის ნამდვილი ევროპა. დიახ, არცერთ მათგანს წაკითხული არ აქვს არც კანტი, არც ნიცშე, არც გოეთე, არც დანტე... წარმოდგენა არ აქვთ, რაზე საუბრობენ. აზროვნების საგანძური, — ეს უდიდესი ადამიანები, რომლებიც შუა საუკუნეებში მოღვაწეობდნენ, — დღევანდელი ევროპიდან გამქრალია. და, რაც მთავარია, დღევანდელი ევროპა აღარ არის ქრისტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, რის გამოც მისკენ მივილტვოდით. როდესაც კიერკეგორმა გამოაცხადა, რომ ღმერთი ავად არის, ხოლო ნიცშემ უფალი ადამიანს მოაკვლევინა, ქრისტიანული აზროვნების სტრუქტურის ნგრევა სწორედ მაშინ დაიწყო. ნიცშეს ეგონა, რომ ზეკაცი წარმოაჩინა, რომელსაც ცნობიერების პირამიდაში, იქ სადაც ღმერთი იყო, თავი უნდა დაემკვიდრებინა. ღმერთი სრულყოფილება, აზროვნების, სულიერების, სიმშვენიერის იდეა იყო. ჰიტლერი ერთადერთი იყო, ვინც თქვა, ზეკაცი მე ვარო, სხვამ ამის თქმა ვერავინ გაბედა.

სავალალო ის არის, რომ განათლების სისტემა დღემდე ლომაიას გაცემული ბრძანებებითა და დადგენილებებით ხელმძღვანელობს. ამიტომაც ღაფავს სულს.

რაც შეეხება უნივერსიტეტის რეფორმას, რაზეც ბატონმა ირაკლი კობახიძემ ისაუბრა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ აქვე დავსვათ შეკითხვა: ვინ არის დღეს განათლების მინისტრი? — ალექსანდრე წულაძე, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა. ამ ახალ, თანამედროვე მინისტრს წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება განათლების სფეროში. გიორგი ამილახვარი სწორედ იმიტომ არ მოგვწონდა, რომ მას არ ესმოდა, რა სახის რეფორმები უნდა გაეტარებინა განათლების სისტემაში. თურმე ახალი მინისტრი ამილახვარის ერთგული კაცი ყოფილა. ეს კმარა განათლების სისტემის შესაცვლელად?! მინისტრის მოადგილეები, სამივე ქალბატონი, იურისტია. სამინისტროში იურიდიული კოლონა, დარბაზი შექმნეს. ესენი გადაარჩენენ განათლებას?!

დააკვირდით, რით დაიწყო საკაშვილმა განათლების სისტემის მოსპობა — სკოლების სახელმძღვანელოებში ყველა პატრიოტული სულისკვეთების ლექსი სწავლებიდან ამოიღო, მათ შორის, რაფიელ ერისთავის „სამშობლო“. შედეგად, დღევანდელი ახალგაზრდობის ლოზუნგი გახლავთ, ჩემი სამშობლო იქ არის, სადაც მე კარგად ვიცხოვრებო. აი, სად არის უბედურების სათავე. მაგალითად, „ილიაუნი“ სოროსელების ბუდეა. ყველა სოროსელი საქართველოს პირველი მტერია. „სოროსის ფონდი“ იმ ქვეყნების პირველი მტერია, რომლებიც საკუთარი თვითმყოფადობისთვის, კულტურის, ფასეულობების, ტრადიციების შენარჩუნებისთვის იბრძვის. საქართველოს გადარჩენის სამი მთავარი პოსტულატი არსებობს, რასაც მთელი ჭეშმარიტი ქართველი ერი იზიარებს, ესაა ილიასეული: მამული, ენა და სარწმუნოება, რაც, პირველ რიგში, განათლებით უნდა იყოს გამყარებული. რადგან განათლება, უპირველესად, სულიერი სამყაროა, სულით უნდა ვიყოთ ძლიერნი. რა თქმა უნდა, ეკონომიკური ძლიერებაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ადამიანი სულისა და სხეულისგან არის შექმნილი.

— პრემიერმა განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო რეფორმის განხორციელების შედეგად, ოთხ წელიწადში იმ ხარისხის განათლებას მივიღებთ, რასაც ჩვენი სტუდენტი ევროპაში იღებსო. ეს რამდენად მიღწევადია?

— ჩვენი ამოცანაა, დედაუნივერსიტეტი კვლავ თავის ფუნქციას დაუბრუნდეს, „გეპეი“ კვლავ „გეპეი“-დ იქცეს და სამედიცინო უნივერსიტეტი — რეალურ სამედიცინო უნივერსიტეტად. მე სასწავლებლად უცხოეთში არასდროს წავსულვარ. აქ ვსწავლობდი, სადაც უმაღლესი დონის მეცნიერები მოღვაწეობდნენ როგორც ფილოლოგიის, ისე აღმოსავლეთმცოდნეობის და სხვა ფაკულტეტებზე. სააკაშვილი რომ მოვიდა, სამი ათასი ლექტორი გაყარა უნივერსიტეტებიდან, განათლება, მეცნიერება მოსპო. ეს პრობლემაც გამოსასწორებელია. უპირველესად, განათლების სისტემაში საქმის მცოდნე პროფესიონალები უნდა დავაბრუნოთ.

მთავარი მიზანი ქართული ენის გადარჩენა უნდა იყოს, რომელიც დღეს საშინლად დამცრობილია. ილია ამბობდა, საქართველოს საქმე მაშინ წახდა, როცა ქართველებმა საერთო ენა დავკარგეთ და ერთმანეთს ვეღარ ვაგებინებდითო. რა ენაზე მეტყველებს დღეს ქართველი?! პარლამენტარებთან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ რა ენაზეც იქ საუბრობენ, ეს ქართული ენა არ არის...

ბატონ პრემიერს ჩემგან ჭკუა არ ესწავლება, მაგრამ განათლების სისტემაში ისეთი ხალხი უნდა მოიყვანოს, ვისაც უშუალოდ კავშირი აქვს სკოლასთან, უმაღლეს სასწავლებელთან. ასევე, ვისაც სამეცნიერო საქმიანობაში გამოცდილება და ცოდნა აქვს. განათლება და მეცნიერება ერსა და იმავე სიბრტყეზეა. განათლება როცა ძლიერია, ეს მეცნიერებასაც ეტყობა. თუ განათლების დონე დაქვეითდა, იგივე ემართება მეცნიერებასაც. აი, ეს არის მთავარი, ამის შეგნება უნდა გქონდეს.

მახსოვს, ადრე პარლამენტი ვერ აქვეყნებდა ისეთ დოკუმენტებს, სადაც სიტყვა — „სამშობლო“ ეწერა. ეს აკრძალული იყო.

ბოლოს როდის გაიგონეთ, სიტყვა — სამშობლო?!

— თქვენ ახსენეთ, სააკაშვილმა განათლებული მეცნიერ-პედაგოგები უნივერსიტეტებიდან გაყარაო. ახლანდელი ლექტორები საიდან მოვიდნენ?

— დღეს ლექტორების უმეტესობა ცოდნით კი არა, არამედ იმით ამაყობს, რომ მიშასთან ერთად სურათი აქვს გადაღებული! თან არ ამხელენ, „მიშისტები“ რომ არიან. ეს მხოლოდ უნივერსიტეტებში კი არ ხდება, არამედ მეცნიერებათა აკადემიაშიც. საქართველოს მოსახლეობა ორად არის გაყოფილი: ერთ მხარესაა ხალხი, რომელსაც სამშობლო უყვარს და მეორე მხარეს — ვისაც სძულს და ეჯავრება. მათ ოპოზიციას ნუ ვეძახით, ისინი ქვეყნის დაუძინებელი მტრები არიან, რომელთაც სამშობლოს ღალატისთვის საკადრისი პასუხი უნდა გაეცეთ.

— ბატონო ელიზბარ, სტუდენტობა გაფიცულია...

— ეს კიდევ ცალკე უბედურებაა. მათ სწავლა არ უნდათ, აუდიტორიები საძინებლებად გადააქციეს, გაშლილი აქვთ ლეიბები და კოტრიალობენ. ჰოდა, ვისაც ლოგინში კოტრიალი უნდა, სასწავლებლიდან უნდა გაყარო. მაგრამ ვერ ყრიან იმის გამო, რომ სწავლაში დიდი ფული აქვთ გადახდილი. არადა, მე თუ მკითხავთ, ყველა პანღურის კვრით უნდა გაყარო. იცით, რას გეტყვით, უნივერსიტეტში რომ შევდიოდი, ქუდის მოხდას ვერავინ მასწრებდა. მაშინდელი პროფესორ-მასწავლებლები გენიოსები იყვნენ. მათ დანახვაზე კედელს ვეკრობოდით. ახლა პირიქით, სტუდენტი რომ მოდის, მასწავლებელი გვერდზე უნდა გადგეს. ასეთ ვითარებაში განათლების რეფორმა ვერ განხორციელდება.

დღეს ნუ ვიჩემებთ, რომ საქართველოს სახელი მსოფლიოში ფეხბურთმა გაიტანა. საქართველოს სახელი უნდა გაიტანოს ქართულმა განათლებამ, ეროვნულობამ, კულტურამ. აი, ეს არის მთავარი. თუ ეს ხაზგასმით არ წარმოჩინდა, მაშინ ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა და ტუილად ვამბობთ: მამული, ენა, სარწმუნოება. დღევანდელ ახალგაზრდობას ეს არ ესმის. მათ სურვილი არ აქვთ, რომ ისწავლონ და შესაბამისი ცოდნა-განათლება მიიღონ. წიგნს არ კითხულობენ, მხოლოდ ტელეფონს ჩასჩერებიან. მსოფლიომ დაივიწყა წიგნის კითხვა. წიგნი არამარტო ინფორმაციას გაწვდის, არამედ აზროვნებას გიხსნის. ის ინფორმაცია, რაც ეკრანებიდან იღვრება, თაროზე შემოდებული ცნობებია.

— ახალგაზრდობა და არამარტო ის, უკვე ორი თვეა ქუჩაში დგას და ამტკიცებს, ამით ევროპულ მომავალს ვიცავო. როგორ აფასებთ ამ პროცესს?

— ეს დაფინანსებული ხალხია. იმიტომაც ატეხეს ერთი ამბავი, როცა ხელისუფლებამ გამჭვირვალობის შესახებ კანონი მიიღო. საქართველოში ამ კანონის ამოქმედება არც ევროპას და არც აშშ-ს აწყობს. იმედია, ტრამპი ამ ვითარებას გამოასწორებს. ოპოზიცია ქვეყნის მტერია, რომელსაც არავითარი სურვილი არ აქვს, სამშობლოს სიკეთე მოუტანოს. მათ იოლად ნაშოვნ ფულს გემო გაუგეს, რუსთაველის გამზირზე გაისეირნებენ, რაღაცას შეჰყვირებენ და ეს საქმის კეთება ჰგონიათ. მე რაც თავი მახსოვს, სულ აქციებზე ვიდექი და ვიბრძოდი. ოღონდ, ვიბრძოდი სამშობლოს სიყვარულისთვის და იმისთვის, რომ ქართველობა გადაგვერჩინა. დღეს ამ ქვეყნის მტრებს სამშობლოს გადარჩენა არ აინტერესებთ, პირიქით, მისი დაქცევისთვის იღვწიან და ფულებს იჯიბავენ. ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს და ეს მოღალატეები დასაჯოს. ახლა ყველაფერზე გაიძახიან, გვაბულინგებენო. ბულინგი დამცრობას, ზემოდან ყურებას ნიშნავს. უცხო ტერმინებით საუბარი დაამკვიდრეს და ჰგონიათ, რომ განათლებულები არიან...

თამარ შველიძე

ქუჩაში გამოსულთა მოთხოვნები უსაფუძვლოა!

(გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N3)

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ჩვენ და ევროპელები ქრისტიანული კულტურის შთამომავლები და მემკვიდრეები ვართ, მაგრამ, ამასთან ერთად, როგორც ქრისტიანული კონსერვატული ფრთის წარმომადგენელ მართლმადიდებელ ერს, ჩვენ გვაქვს ურყევად და მყარად შენარჩუნებული ის ფასეულობები, რაც ევროპაში ფასობდა და რასაც ევროპულს უწოდებენ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ეკონომიკურად დაბალი დონისა, სულიერად ჩვენა ვართ ნამდვილი, ჯერ კიდევ თავშენახული, თავდაპირველი, შეუბღალავი კავკასიელი ევროპელები. ეროვნული სიმცირე და მატერიალური ხელმოკლეობა სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენს სულიერ სიღარიბეს და სიმდაბლეს. სიმცირის მიუხედავად, ქართველი ერი დიდი ერია და ჯერ ისევ ფართოდ არაღიარების გარეშეც, თავისი წარსულითა და აწმყოთი, დამსახურებულად იკავებს საპატიო ადგილს ღირსეულ ერებს შორის. ამიტომ, ჩვენ კი არ უნდა წავიდეთ მათკენ, დღეს ისინი უნდა წამოვიდნენ ჩვენკენ, მოგვბაძონ, მაგალითი გადაიღონ, გაგვიფრთხილდნენ. თუ მართლა ჰუმანიზმი ამოძრავებთ, დაგვიცვან და ამ გზით ჩვენც გადავრჩეთ და მათაც გამოუჩნდეთ ლიბერტანიალიზმისგან ხსნის საშუალება. მაგრამ, სამწუხაროდ, ჰუმანიზმი პოლიტიკაში ფარსია და ამის იმედი არ უნდა გვქონდეს. ამიტომ, თუ მოთხოვნაა, უპირველესად, ევროკავშირისაგან განუხრელად უნდა მოვითხოვოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა და ის, რომ ხელი აიღონ გარყვნილების, გადაგვარების დამკვიდრებაზე და უარი თქვან იმაზე, რომ თავიანთი გავლენის ქვეშ მოგვაქციონ/გვამყოფონ, რასაც ახლა მიმართავენ.

მეორე მხრივ, საკითხავია, ამერიკული „გემით“, ანუ ამერიკის პოლიტიკით და გავლენით ევროპაში როგორ მივდივართ? როდიდან გახდა ამერიკა და ევროპა ერთი და იგივე? თანაც თავად ევროპა საჭიროებს აშშ-ის გავლენისაგან გათავისუფლებას. მერე იმ კავშირში შესვლით ვინ ან რა ვიქნებით, ვასალის ვასალი? ორმაგი ვასალობა მოგვინდა? ერთი ბატონის მსახურება არ ვისურვეთ, რის გამოც უზომოდ დავზიანდით და ახლა ორი ბატონის მსახურებას გადავიტანთ? ოცნება ერთია, მაგრამ რეალურად, რა მოგველის, ვფიქრობთ? თუ ვინმე გაყიდულ-მოსყიდულები, შემცდარ-მოტყუებულები ხართ, სხვასაც ნუ უბიძგებთ და აიძულებთ ამას. ეროვნული ტვირთის საკუთარ მხრებზე ტარება მძიმეა, მეტად საპასუხისმგებლო და ძნელად სატარებელია. სხვა ყველაფერთან ერთად, საჭიროა რეალობის საფუძვლიანი ანალიზისა და მასზე დაყრდნობით, მომავლის შორს ჭვრეტის უნარი, რომლის გარეშეც ვინმემ პოლიტიკოსობა დაიბრალოს, თავნებობა თუ არა, კადნიერება მაინც არის და ხელი აფათუროს ერის ბედსა და მომავლის საქმეში, ამის უფლება არავის აქვს.

გაიძახიან, ევროპულ გზას გვართმევენო და გულისხმობენ კარგ ცხოვრებას. მერედა, ვის არ უნდა კარგი ცხოვრების პირობები და ვინ უარყოფს კარგ ცხოვრებას? გამოდის, ისე დავძაბუნდით, რომ, სამწუხაროდ, გვიჭირს აშშ-ისა და ევროპის ცხოვრების მაღალი დონისა და მათ მიერ ჩვენს მიმართ განხორციელებული კოლონიური პოლიტიკის ერთმანეთისგან განყენება, რომ ესენი სრულიად განსხვავებული მხარეებია და მათ მიერ ჩვენდამი განხორციელებულ პოლიტიკაზე უარის თქმა სრულიადაც არ ნიშნავს, მათსავით ცხოვრების მაღალ დონეზე და მიღწევებზე უარის თქმას. მათი ეს პოლიტიკა სწორედ ჩვენ ამ სურვილის განხორციელებას უპირისპირდება, რომ ვერ მივაღწიოთ ცხოვრების მაღალ დონეს და მუდმივად მათ ხელში შემყურე და გავლენის სფერო ვიყოთ. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ გვაიძულებენ, ყურადღება გადატანილი გვქონდეს ე. წ. ინფრასტრუქტურაზე და არა წარმოებაზე. მათი მხრიდან პოლიტიკური ნება რომ იყოს, აქამდე ეს მცირერიცხოვანი ქვეყანა, რომელიც მათი მოზრდილი დაბის ტოლია, ოაზისად ვიქცეოდით და ქვეყანა ქართველებისგან კი არ დაიცლებოდა, არამედ გავმრავლდებოდით, გავიზრდებოდით და გავძლიერდებოდით, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, აშშ-სა და მის სატელიტ ევროკავშირს თავიანთი მიზნებისათვის გავლენის სფეროდ ვჭირდებით, ხოლო ამისათვის გაჭირვება საუკეთესო საშუალება და გარანტიაა. აღნიშნული პოლიტიკით კარგი ცხოვრების მუდმივ ოცნებაში ვიქნებით და გაჭირვებიდან ვერასდროს გამოვალთ, შედეგად, თანდათან გავქრებით, როგორც ერი და ჩვენს მამულ-დედულს მომავალი მოსახლეობის კონგლომერატი დაიკავებს, რაც ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანია და რომლის განხორციელებასაც ლამობენ. ამიტომ დღეს მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლის, თუნდაც, როგორიცაა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის მცდელობაც კი დანაშაულად გვეთვლება და სხვადასხვა სადამსჯელო ფორმებს მიმართავენ და საბოლოოდ რას გვიმზადებენ, ეს ღმერთმა უწყის.

ვისაც ახსოვს ამ სამი ათეული წლის წინანდელი საქართველო, უჩნდება შეკითხვა: რატომ და როგორ მივედით იმჟამად სისხლსავსე, მრეწველობა-სოფლის მეურნეობით გაწყობილი, ეკონომიკურად ძლიერი, წელში გამართული ქვეყანა ამ მდგომარეობამდე, არსებულ სიდუხჭირემდე? ეს მოხდა ნაცადი მეთოდით, მოტყუების, ცბიერების, ფარისევლობის, ძალადობის ერთობლივიო გამოყენებით, როგორც ბევრგან, მაგალითად, ავღანეთში, ერაყში, სირიაში, უკრაინაში და სხვაგან, მათ შორის ჩვენთანაც, აშშ-მ ჩაანაცვლა რუსეთი, მოგვევლინა ახალ გულშემატკივარ-დირიჟორად ანუ ე. წ. „მეგობრად,“ თანაც სტრატეგიულის სახელით, რომელმაც, თავის მხრივ, მოგვაშლევინა არსებული ყოველივე, მათ შორის, წარმოებაც. ამხელა წარსულის, კულტურისა და განვითარების მქონე ერს უცერემონიოდ, მიზანდასახულად მოგვაწება განვითარებადი ქვეყნის იარლიყი და მისი საზომით გვიდგებიან, როგორც ველურობიდან ახლად გამოსულ, უმწიფარ ხალხს, ამიტომ ის თავის თანასწორადაც არ აღვიქვამს და როგორც ბავშვს ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, ისე „განვითარებადის“ იარლიყით მეთოდურად მიუღებლად მიიჩნევა მათ მსგავსად მაღალი დონის ტექნოლოგიური წარმოება (თუმცა, არც დაბალი დონის წარმოებით ვართ განებივრებულები). ასევე, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნოლოგიური საინფორმაციო ბანკის წვდომა-გამოყენება და ა. შ. აღნიშნული იარლიყით, რასაც სტატუსს უწოდებენ, ჩვენთან მიმართებას და დამოკიდებულებას იურიდიული ფორმა მისცეს, ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება სამართლიანია და ჩვენ წინაშე მართლები არიან. ყოველივე ეს არის მზაკვრობა, პოლიტიკური თვალთმაქცობა და ფარისევლობა.

აქედან გამომდინარე, ევროკავშირში შესვლა კი არა, არამედ აშშ-იდან და ევროპიდან მომდინარე გლობალისტურ-ნეოლიბერალური იდეოლოგიების თავდასხმებისგან თავდაცვა და მათი მოგერიებაა საჭირო, რომ არ გადავგვარდეთ და გადავრჩეთ, როგორც ერი.

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ გაუგებარი, სახელმწიფოებრივად საზიანო და გაუმართლებელია შინ თუ გარეთ ე. წ. პროტესტანტების მხრიდან უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ, არგუმენტის ნაცვლად, დემაგოგიურად ყველაფერზე გაუთავებლად „რუსულია“-ს ძახილი და მიწერა. ეს საღ აზრს და ლოგიკას არ ესადაგება. ამ გზით მეთოდურად მივყავართ სწორი ლოგიკური აზროვნების უნარის დაკარგვამდე, ანუ გონების დაჩლუნგებამდე, რაც უკეთურობა და ბოროტებაა და არა ევროპელობა და პროგრესი. ჩვეულებისამებრ, გარედან ყველაფერს მიზანმიმართულად გვთავაზობენ უკუღმა და გვაიძულებენ, ჩვენ ის მივიღოთ გააზრების გარეშე, უსიტყვოდ, როგორც სწორი, საჭირო და სამართლიანი. კერძოდ, რაც მათთვის მისაღები და დემოკრატიულია, ის, მათი აზრით, ჩვენთვის მიუღებელი და ანტიდემოკრატიულია. ასევე პირიქით. რატომ? საბუთი? „რუსულია!“ — აი, პასუხი. საიდანაც დასაბუთება გამორიცხულია და ლოგიკისაგან სრულიად აცდენილია. ამის ნათელი მაგალითია გამჭვირვალობის კანონის მიღება და მაზე დაუსრულებლად დღემდე „რუსულია“-ს ძახილი. ამ გზით გვინერგავენ გონებრივ სიბნელეს და ე. წ. რობოტიზმს, რაშიც, სამწუხაროდ, ნაწილობრივ მიღწევები უკვე აქვთ.

არადა, სიტყვით ობიექტურობის, სამართლიანობისა და სამშობლოს სიყვარულის პრეტენზია აქვთ, მაგრამ განა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა, ეროვნულ თვითმყოფადობაზე ზრუნვა, ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის დაცვა, მშობლისა და პირმშოს ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნება და განმტკიცება, შვილის მამულიშვილად ჩამოყალიბება, ბიჭის სამშობლოს დამცველად, გოგოს — მომავალ ქართველ დედად აღზრდა და ა. შ. ყველაფერი ეს განა რუსულია? მაშინ სადღა ქრება ყოველივე ქართული? და თუ მართლა ეს ასეა, მივესალმები ასეთ „რუსულ“ ცხოვრების წესს. არსებული მიდგომის მიზანია ე. წ. რუსოფობიის დამკვიდრება, რაც არასწორია და, პირველ რიგში, ჩვენთვის არის საზიანო. მეორე მხრივ, უნდა შევიგნოთ, რომ სიტყვა „რუსულია“-ს ძახილი არგუმენტი არ არის, ხოლო დემაგოგია, რასაც ადგილი აქვს, არც პოლიტიკაა და არც ქვეყნის სამსახური.

რაც შეეხება მიმდინარე გამოსვლებზე უდანაშაულობას და დაკავებულთა გამოშვების მოთხოვნას, ეს იმდენად უსაფუძვლო, უსამართლო და აბსურდული მოთხოვნაა, რომ აქ დეტალურ განხილვაში არ შევალ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ საზეიმო და ესთეტიკური სიამოვნებისათვის შექმნილ პიროტექნიკას რომ პოლიციის წინააღმდეგ ცეცხლსასროლ იარაღად გამოიყენებ; გათავხედდები, გაბედავ და ხელს აღმართავ მათზე, დაასახიჩრებ და სასიკვდილოდ გაწირავ; ამასაც რომ არ აკმარებ და „მოლოტოვის კოქტეილებს“, ანუ თვითნაკეთ ყუმბარებს დაამატებ, რომლებითაც მეორე მსოფლიო ომში ტანკებს წვავდნენ და კანონით დაუშვებელ სხვა საშუალებებსაც გამოიყენებ; ამასთან ერთად, მიმართავ პროვოკაციას, უშვერი სიტყვებით შეურაცხყოფ და აღიზიანებ ძალოვნებს; შემდგომ ამისა, ომს რომ დაუწყებ და შეუტევ უმოქმედოდ მდგარ წესრიგის დამცველებს; დაამტვრევ და დაწვავ სახელმწიფო და კერძო ქონებას; ამის შემდეგ მეთოდურად დაძაბულობის კულმინაციას შექმნი და სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეუტევ პარლამენტის შენობას, დააზიანებ და დაწვავ მის ოთახებს; ცხადია, ეს ყოველივე კანონით დაუშვებელია, დანაშაულია და დასჯადია, ამის გამო დამნაშავე პირები დაპატიმრებულები არიან და დანაშულის შესაბამის სასჯელს იმსახურებენ, აქ რა არის უცნაური, გაუგებელი, მიუღებელი და დაუშვებელი?!.

ამბროსი კავლელაშვილი
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

(დასასრული იქნება)

ემირატებიდან განხორციელებული ინვესტიცია ჩვენ ეკონომიკას დამატებით იმპულსს მისცემს



გვესაუბრება ეკონომისტი სოსო არჩვაძე:

— ბატონო სოსო, აბუ-დაბიში ხელი მოეწერა ისტორიული მნიშვნელობის შეთანხმებას საქართველოში 6-მილიარდიანი ინვესტიციის განხორციელების შესახებ. რა პერსპექტივას ხედავთ ამ გადაწყვეტილების შემდეგ, რა იქნება რეალური ეკონომიკური შედეგი?

— დიახ, მართლაც უპრეცედენტო, ისტორიული მასშტაბის — 6 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება, რაც წელიწადში, საშუალოდ, მილიარდ 200 მილიონი დოლარი გამოდის. შედარებისთვის გეტყვით, რომ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პირველ ადგილს სხვადასხვა ქვეყნები იკავებდნენ. მაგალითად, 2015 წელს აზერბაიჯანის, ხოლო 2023 წელს ნიდერლანდების მაქსიმალური მაჩვენებელი 600 მილიონი დოლარი იყო, რასაც არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან განხორციელებული ინვესტიცია ორჯერ გადააჭარბებს. ეს რეკორდული მაჩვენებელია. ზოგადად, ქვეყანაში ინვესტიციის შემოსვლით იზრდება ქვეყნის ეკონომიკა, იქმნება დამატებით ღირებულება, მეტი სამუშაო ადგილი, რის საფუძველზეც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა იზრდება. საბაზრო ეკონომიკის მთავარი „მარილი“ ის არის, რომ ბიზნესს და მოქალაქეებს თავიანთი პოტენციალის გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობა მისცეს და მოსახლეობაში ეკონომიკური დიფერენციაციის არსებობის პირობებში, საერთო კეთილდღეობის ზრდა უზრუნველყოს. ამიტომ ყოველი ინვესტიცია, მისი წარმომავლობის მიუხედავად, საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება. მოსახლეობის იმ ნაწილის კეთილდღეობა, რომელიც ამა თუ იმ პროექტში უშუალოდ არის დასაქმებული, გაცილებით სწრაფად, დინამიკურად იზრდება.

თუმცა ინვესტიცია ეკონომიკური ზრდის ერთადერთი წყარო და საშუალება როდია. ვგულისხმობ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას. შემიძლია, მინიმუმ ოთხი წყარო დაგისახელოთ, რომელთა გამოყენებითაც ეკონომიკის ზრდაა შესაძლებელი. პირველ რიგში, ეს ის რესურსია, რაც დღეისთვის კომერციულ ბანკებს გააჩნიათ. ვგულისხმობ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების სიდიდეს, რაც წლის დასაწყისის სავალუტო კურსის მიხედვით, დაახლოებით, 21,4 მილიარდი დოლარის ეკვივალენტურია, რომლის 46% — ეროვნული, ხოლო 54% — უცხოური ვალუტაა. ასე რომ, კომერციულ ბანკებს უდიდესი პოტენციალი გააჩნიათ — უზარმაზარი ფინანსური რესურსის სწორად გამოყენების შემთხვევაში, ეკონომიკის მასტიმულირებელი გახდნენ. საბანკო სისტემა ეკონომიკის მდგრადობას, კომერციული და სამომხმარებლო კრედიტების გაცემას უზრუნველყოფს. ეს რესურსი სამ-ნახევარჯერ აღემატება იმ პოტენციურ საინვესტიციო რესურსს, რომელიც შეიძლება არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან შემოვიდეს.

შემდეგი წყარო ადგილობრივი ბიზნესსექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციებია. თუ ადგილობრივ რესურსებს და უცხოურ ინვესტიციებს ჯამში ერთად განვიხილავთ, აღმოჩნდება, მაგალითად, რომ 2023 წელს შიდა ბიზნესსექტორმა სამჯერ მეტი ინვესტიცია განახორციელა, ვიდრე უცხოურმა. არადა, 2023 წელს განხორციელებული უცხოური ინვესტიცია მცირე როდი იყო, — თანხა მილიარდ 900 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენდა. დიახ, ადგილობრივი რესურსების მონაწილეობა ჩვენი ეკონომიკის კვლავწარმოებაში სამჯერ მეტი იყო.

კიდევ ერთი წყარო, რომელსაც წლიდან წლამდე უფრო და უფრო დიდი საინვესტიციო დატვირთვა ენიჭება, ეს ფულადი ტრანზაქციებია უცხოეთიდან, რამაც გასულ წელს, თითქმის, 3,4 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს თანხა მნიშვნელოვნად აღემატება ზემოთ ნახსენები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას. თუ 90-იანი წლების ბოლოს ეს ფულადი ტრანზაქციები მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიემართებოდა, — სურსათი, კომუნალური გადასახადების დაფარვა და ა. შ., ამჟამად ამ თანხების მზარდი ნაწილი საშუალო და გრძელვადიანი საქმიანობის დასაფინანსებლად იხარჯება, როგორიცაა ძვირადღირებული ტექნიკის, უძრავი ქონების შეძენა, თანხის ბიზნესში დაბანდება და ა.შ. ფულადი ტრანზაქციები თანდათანობით საინვესტიციო დატვირთვას იძენს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საპენსიო ფონდების რესურსის გამოყოფა და გაზრდა, სადაც რამდენიმე მილიარდი ლარი უკვე აკუმულირებულია. იმედია, საპენსიო ფონდის ახალი საბჭო ხელისუფლებას და საზოგადოებას სწორ მიმართულებას შესთავაზებს. აი, ხომ ხედავთ, რამდენი წყარო არსებობს იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარების რელსებზე იდგეს. ამ ყველაფრის ფონზე, ემირატებიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციები ჩვენი ეკონომიკის განვითარებას დამატებით იმპულსს, ბიძგს მისცემს და ჩვენს ეკონომიკას, დამატებით, დაახლოებით, 1-1,5%-ით გაზრდის. ამ ინვესტიციას საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, უახლოეს საშუალოვადიან პერიოდში — სულ ცოტა ხუთწლიან და შემდგომ გრძელვადიან პერსპექტივაში, თავისი როლი და მნიშვნელობა ექნება.

— რას შეცვლის მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით, აღნიშნული ინვესტიცია?

— ეს ითვალისწინებს რამდენიმე ათეულ ათასი სამუშაო ადგილის შექმნას, ჯერ პროექტის რეალიზაციის, ანუ მშენებლობის პროცესში შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირებისას და მერე ექსპლუატაციისას. დიახ, ათასობით ადამიანი ამ პროექტის ინვესტიციების განხორციელებაში იქნება ჩართული, სამუშაოების შესრულების შემდეგ კი უმუშევრად დარჩებიან, მაგრამ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს მომსახურე პერსონალი ხომ სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში სამუშაო ადგილების ოდენობა გაიზრდება. როგორც ჩემთვის ცნობილია, ინვესტიციების ნაწილი საშუალოზე მაღალი კლასის საცხოვრისისა და რელაქსაციის ობიექტების მშენებლობას მოხმარდება. შედეგად, საქართველოში ცალკეული სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნა მკვეთრად გაიზრდება. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მომსახურებისა და მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი პერსონალის რაოდენობაზე მოთხოვნა გაიზრდება.

— ბატონო სოსო, ოპოზიცია აცხადებს, რომ ამ მასშტაბის ინვესტიციის განხორციელება არარეალურია. ისიც კი ითქვა, ელემენტარულად, 300 ათასი ტურისტი ერთდროულად რომ ჩამოვიდეს, კანალიზაცია გაიჭედებაო...

— ინვესტიციების განხორციელებას, წარმომავლობის მიუხედავად, მშვიდი გარემო და პროგნოზირებადი სტაბილური მომავალი სჭირდება. სახელმწიფოს აქვს რესურსიც, ისტორიული გამოცდილებაც და დაგროვილი პოტენციალიც, რათა ნებისმიერი სახის უცხოური ინვესტიციის განხორციელებისთვის შესაბამისი პირობები უზრუნველყოს. რაც შეეხება ცალკეულ ტექნიკურ პრობლემებს, დღევანდელ პირობებში პრობლემის გადაჭრა სირთულეს არ წარმოადგენს. მეცნიერები იკვლევენ, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების შესაძლებლობას პლანეტა მარსზე. ასე რომ, კანალიზაციისა თუ ეკოლოგიური პრობლემების მოწესრიგება მჭიდროდ დასახლებულ რაიონში მაშინ, როცა არსებობს ჰონგ-კონგის, სინგაპურისა და სხვა აგლომერაციების გამოცდილება, ეს პრობლემა არ არის. ჩვენი თუ მოწვეული სპეციალისტების სამეწარმეო გამოცდილება და პროფესიონალიზმი გარანტიას იძლევა, რათა ეკოლოგიური წონასწორობაც შენარჩუნებული იყოს და პროექტისგან მოსახლეობამაც მაქსიმალური სარგებელი მიიღოს.

— 6-მილიარდიანი ინვესტიცია რამდენად იქნება გზავნილი პოტენციური ინვესტორებისთვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ინვესტიცია მათაც შემოიტანონ?

— საქართველოზე, ინვესტიციების მხრივ, ეკონომიკის აბსოლუტურად სხვადასხვა სფეროში უზარმაზარი მოთხოვნაა. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ავტომაგისტრალების სიგრძე, კვადრატულ კილომეტრზე, თითქმის ორჯერ ჩამორჩება თურქეთისას და სამჯერ საბერძნეთისას. საქართველომ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო-ეკონომიკური მიმართულებით, რეგიონული ჰაბის როლი რომ შეასრულოს, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მას უზარმაზარი ინვესტიციები სჭირდება. ამიტომ ერთი მიმართულებით გარღვევა ნიშნავს მოტივაციის გაძლიერებას ეკონომიკის ყველა სხვა სფეროს მიმართულებით. როცა ემირატებიდან ინვესტიციები შემოდის, ეს არამარტო უზრუნველყოფს მაღალ მწარმოებლურობას და მრავალი ადამიანის ცალკეულ სფეროებში დასაქმებას, არამედ საკმაოდ მძლავრი მოტივატორიც არის სხვა ინვესტორებისთვის, რომ მათაც, ანალოგიურად, ჩვენს ქვეყანაში თავიანთი ინტერესების რეალიზაცია მოახდინონ.

— გასულ კვირას საქართველო-სომხეთს შორის მთავრობათაშორისი კომისიის მე-14 სხდომა გაიმართა. რას გვეტყვით მის მნიშვნელობაზე?

— სომხეთი საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია. ის ჩვენი სავაჭრო ბრუნვის პირველ ათეულში ადგილს სტაბილურად ინარჩუნებს. სამხრეთ კავკასია — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთიანი ეკონომიკური სივრცე, სადაც პოლიტიკური საკითხების მოწესრიგება და ფრჩხილებს გარეთ გატანა ხელს შეუწყობს რეგიონის სამივე სახელმწიფოს განვითარებას, სინერგიის ეფექტს იქონიებს და თითოეული ქვეყნის ინტერესების მაქსიმალურად რეალიზაციას უზრუნველყოფს. ის, რომ პრემიერი რიგრიგობით ეწვია მეზობელ სახელმწიფოებს — აზერბაიჯანსა და სომხეთს, ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული და საქართველო უფრო აქტიურად ასრულებს არამარტო ეკონომიკური პარტნიორის როლს, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური მედიატორის ფუნქციებსაც წარმატებით ითავსებს.

— რა საფრთხეებს ქმნის ქვეყნისთვის ბიზნესის გაფიცვა, ან მისთვის შესაძლო სანქციების დაწესება?

— ზოგადად, ბიზნესის მთავარი დატვირთვაა, შექმნას დოვლათი და მიიღოს სარგებელი როგორც თავისთვის, ისე საზოგადოებისთვის. როცა ბიზნესის გაფიცვას წმინდა პოლიტიკური სარჩული უდევს, ეს კონტრპროდუქტიულია ბიზნესისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. მაგალითად, 2024 წლის დეკემბერში გაფიცვების და სხვა მიზეზთა გამო, ტურისტული ნაკადის შემცირებისა და სარესტორნო-სასტუმრო ბიზნესის შედარებით ნაკლებად დატვირთვის გამო, საქართველოს ეკონომიკამ, დაახლოებით, 300 მილიონ ლარამდე დამატებული ღირებულება ვერ აწარმოა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ეკონომიკა პოლიტიკურ ვნებათაღელვებისგან მაქსიმალურად დაცული და მოშორებული იყოს.

თამარ შველიძე

DEEP STATE ფარული დასი?

Deep State-ის სიტყვასიტყვითი თარგმანი ბევრს არაფერს გვეუბნება არც ქართულად (**ღრმა სახელმწიფო**), არც რუსულად (**Глубинное государство**), არც სხვა ენებზე და არც ორიგინალშია სრულად გასაგები ინგლისურენოვანთათვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მფლობელები, როგორც წესი, ბლოკავენ (ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო) „ღრმა სახელმწიფოს“ ნებისმიერ ისეთ ინტერპრეტაციას, მის სიღრმეებში ისეთ ძიებას, რომელიც მათსას არ ემთხვევა. მათებური „განმარტება“ ყოველთვის იყო და დღესაც შემდეგნაირია: „არსებობს კი საერთოდ ეს ე. წ. ღრმა სახელმწიფო? ეს ხომ კონსპიროლოგიური, ანუ შეთქმულების თეორიაა, რომლის უკანაც, ზოგჯერ, რეალური ფაქტებიც იმალება!“

ღრმა სახელმწიფოს კონცეფციის მომხრეებს კი მიაჩნიათ, რომ ნებისმიერი მთავრობა ფიქციაა, რომ სახელმწიფოებს, რეალურად, რუხი კარდინალები მართავენ. ამ მოვლენის შესახებ, ჯერ კიდევ 90 წლის წინათ, პრეზიდენტი რუზველტი ამბობდა: „ყველა დროში, მით უფრო ახლა, ვიდრე ოდესმე, მსოფლიოს მართავენ, პირველ რიგში, საიდუმლო ორგანიზაციები!“ ამ რუხი კარდინალების ძალის აღმნიშვნელად, დღემდე ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ტერმინი – „სამხედრო–სამრეწველო კომპლექსი“, და სწორედ დიდი ფულისა და დიდი ძალის მქონე ამ კომპლექსს უწოდა „ღრმა სახელმწიფო“ ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორმა პიტერ დეილ სკოტმა 2007 წელს თავის წიგნში – „გზა 9/11–ისკენ: სიმდიდრე, იმპერია და ამერიკის მომავალი“. 2014 წელს გამოქვეყნებულ მის პოლიტიკურ სტატიას კი უკვე სათაურად ჰქონდა – „სახელმწიფო, ღრმა სახელმწიფო და მსოფლიო უოლსტრიტი“.

უმრავლესობისთვის გაუგებარია და იმავდროულად, წარმოუდგენელიც, – როგორ შეიძლება გარდა არსებული, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებისა, კიდევ არსებობდეს რაღაც „ღრმა სახელმწიფო“ ან, გნებავთ, კიდევ ერთი „სახელმწიფო სახელმწიფოში“ და ის განაგებდეს ქვეყნის ბედს: უნდა – ომს იწყებდეს, სადაც მოისურვებს, უნდა – არასასურველ მთავრობას ამხობდეს; უნდა, – პანდემიებს იგონებდეს, უნდა – მთელ მსოფლიოს ცრიდეს გამოუცდელი ვაქცინებითა და უნდა – მსოფლიო მოსახლეობის 90 %–ის გასაწყვეტ გეგმებს აწყობდეს! ამიტომ, ტერმინს – ღრმა სახელმწიფო, მეტი სიცხადისთვის, მისი არსის უკეთ გასაგებად, სხვადასხვა სინონიმებს უძებნიან, როგორებიცაა: მსოფლიო (გლობალური, ფარული, საიდუმლო) მთავრობა, გლობალური ომის პარტია, ფარული ხელი, 300–თა კომიტეტი, ზემოთ ნახსენები სამხედრო–სამრეწველო კომპლექსი და სახელმწიფო სახელმწიფოში.

შეერთებულ შტატებში ღრმა სახელმწიფოთი სხვა ტერმინების ჩანაცვლება დონალდ ტრამპის ინიციატივით დაიწყო ჯერ კიდევ 2016 წელს, მაგრამ, განსაკუთრებით ახლა მოიკიდა ფეხი, – 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.

ჯერ კიდევ პირველ გაპრეზიდენტებამდე, 2014 წელს და ინაუგურაციის შემდეგაც (2017 წლის იანვარში) ტრამპი იმუქრებოდა, რომ ფარმაკოლოგიური კომპანიების საქმიანობას გამოიძიებდა და ვაქცინების უსაფრთხოების მიზნობრივი ჯგუფის თავმჯდომარედ რობერტ კენედი უმცროსი დანიშნა (ახლა კი – ჯანდაცვის მინისტრად). ღრმა სახელმწიფოს ერთ–ერთი შემადგენლის, ფარმინდუსტრიის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ზომების გატარების საშუალება, სამწუხაროდ, ტრამპს არ მისცეს, პირიქით, ღრმა სახელმწიფომ პანდემიაც მოახვია თავს და საყოველთაო იძულებითი ვაქცინაციაც, ეკონომიკაც ჩამოუშალა „კოვიდის საწინააღმდეგო“ ზომებით (ე. წ. “ლოქდაუნებით“), არჩევნებიც გაუყალბა, ხოლო მერე, 2024 წელს ტყვიაც არ „დაიშურა“ მისთვის წინასაარჩევნო მიტინგზე, რასაც სასწაულად გადაურჩა ამერიკის მომავალი პრეზიდენტი.

ასეთ ძალასთან დაპირისპირება, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი და რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული თითქმის მთელ მსოფლიოში (პირველ რიგში, ამერიკასა და რუსეთში), მით უფრო, მისი დამარცხება მხოლოდ ერთ სახელმწიფოში, თუნდაც ისეთ ძლიერში, როგორიც შეერთებული შტატებია, როგორც ამას ტრამპი გვპირდება, არათუ ძალზე ძნელი, შეუძლებელი იქნება! ამის მისაღწევად აუცილებელია მინიმუმ ორი სახელმწიფოს – აშშ-ისა და რუსეთის ერთობლივი და ერთდროული შეთანხმებული ძალისხმევა. სხვანაირად, ეს ძალა უსათუოდ მოახერხებს მათ ერთმანეთთან წაკიდებას და კაცობრიობის გადაჩეხვას მესამე მსოფლიო ომის უფსკრულში.

წერილის მთავარ სათქმელთან ახლა მივდივარ — მინდა, ყველამ კარგად გაიაზროს, თუ როგორი ძალისთვისაა შერჩეული ახალი ქართული სახელი – „ფარული დასი“. ბოლო ხანებში, ღრმა სახელმწიფოს ნაცვლად, პრესაში იწყეს ამ ტერმინის გამოყენება, რამაც კიდევ უფრო ძნელად გასაგები გახადა, თუ რას ნიშნავს „ღრმა სახელმწიფო“. მისი არსიდან, ანუ აქამდე თქმულიდან გამომდინარე, „ღრმა“ თავისუფლად შეიძლება სხვა სიტყვებით – „ფარული“ ან „საიდუმლო“, შეიცვალოს, მაგრამ „სახელმწიფოს“, „მთავრობის“ ან, თუნდაც, „კომპლექსის“, მათში ჩადებული ღრმა შინაარსიდან გამომდინარე, სიტყვა – „დასით“ ჩანაცვლება, გვარიანი შეცდომაა და, აი რატომ:

სიტყვა „დასი“ დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვაა, ვინაიდან, როგორც წესი, ის ასოცირდება თეატრთან, მუსიკასთან და, ამიტომაც არის დაწყვილებული შემდეგ სიტყვებთან: თეატრალური ან მსახიობთა დასი, მუსიკალური ან დამკვრელების დასი (დასი არის იგივე „**труппа**“ რუსულად და „**troupe**” ინგლისურად). ქართულში ის იხმარებოდა და დღესაც გამოიყენება საზოგადოებრივი დაჯგუფების, პოლიტიკური მოძრაობის, მიმდინარეობის თუ ორგანიზაციის აღმნიშვნელადაც, როგორც, მაგალითად, – „პირველი (მეორე, მესამე) დასი“, „სახალხო დასი“, „ქართული დასი“. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიხმაროთ როგორც მსახიობთა ჯგუფი, ისე მსახიობთა დასი (ჯგუფსა და დასს შორის განსხვავება ის არის, რომ დასი ჩამოყალიბებული, ორგანიზებული ჯგუფია, კოლექტივი), მაგრამ არაფრით არ შეიძლება მისი დაწყვილება ისეთ სიტყვებთან, რომლებიც უარყოფითი, მიუღებელი, დანაშაულებრივი და ა. შ. შინაარსისანი არიან – მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ კრიმინალების ჯგუფი, დაჯგუფება, მაგრამ რაც უნდა ორგანიზებული იყოს ეს დაჯგუფება ერთ კოლექტივად, არავის მოუტრიალდება ენა, მათზე თქვას კრიმინალების დასი ან, გნებავთ, ფარული დასი, ანუ არ შეიძლება დანაშაულებრივი საქმეების ფარულად ჩამდენთა დაჯგუფებას, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტმა ომი გამოუცხადა საჯაროდ, ეწოდოს დასი!

„ფარული“ და „დასი“ შეუთავსებელი სიტყვებია, თითქმის, – ოქსიმორონი! ამიტომაც, მათი დაწყვილება არასწორია და მიუღებელი!

მოკლედ რომ ვთქვათ, არ არის აუცილებელი ყველა უცხოური ტერმინის თარგმნა. ალბათ, ქართული შესატყვისის ძებნას აჯობებს დავტოვოთ ორიგინალი – **Deep State**, მით უფრო, რომ ამ ფორმით იგი უკვე დამკვიდრდა მთელ მსოფლიოში.

იაკობ ლეჟავა

იურიდიული რჩევები

თქვენს შეკითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

- მინდა შევიძინო ქონება ნაწილ-ნაწილი თანხის დაფარვით მშენებარე კორპუსში. როგორ უნდა მოვიქცე?

- უპირველესად, მნიშვნელოვანია, დაცულ იქნას ყველა სტანდარტული პირობა ამ ტიპის ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის. თქვენ შეგიძლიათ ასეთ შემთხვევაში გააფორმოთ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, სადაც აღინიშნება მყიდველი, როგორც მომავალი მესაკუთრე, რაც, თავის მხრივ, ამ მშენებარე უძრავი ქონების ხელახალი გაყიდვისგან დაგიცავთ.

●

- მივმართე კერძო სამშენებლო კომპანიას ფართის შესყიდვის მიზნით.მომიმზადეს ხელშეკრულება, რომელიც არის ბუნდოვანი. კონკრეტულად, არ არის მითითებული ვადები, როდის ბარდება კორპუსი. როგორ მოვიქცე?

- თქვენ გაქვთ უფლება, სამშენებლო კომპანიას წარუდგინოთ თქვენი მოსაზრება და მოსთხოვოთ ცვლილების შეტანა ხელშეკრულებაში, კერძოდ, მიეთითოს მშენებლობის დასრულების ვადა, დააკონკრეტოს, რა იგულისხმება დასრულებულ მშენებლობაში — როგორც ტექნიკური, ასევე უფლებრივი თვალსაზრისით. ხშირად ზოგიერთი სამშენებლო კომპანიის მიერ შემოთავაზებული ნასყიდობის ხელშეკრულების დრაფტები არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას, როდის უშვებენ შენობა-ნაგებობას ექსპლუატაციაში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოები, ან/და ხელშეკრულებაში არის ჩანაწერი, როდესაც მშენებლობის დასრულება და მყიდველისთვის ჩაბარება არ ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასაც, რამაც შეიძლება, სერიოზული პრობლემები შეუქმნას მომავალ მესაკუთრეს.

1. როდის სრულდება მშენებლობა და რა იგულისხმება დასრულებულ მშენებლობაში (ეს დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე, ჩააბარონ ნასყიდობის საგანი ე. წ. შავი, თეთრი, მწვანე და ა. შ. კარკასის მდგომარეობაში, თუმცა საჭიროა, ხელშეკრულება დეტალურად განმარტავდეს, კონკრეტულად რა მდგომარეობამდე მიყვანა იგულისხმება);

2. რა ვადაში ხორციელდება მშენებლობადასრულებული შენობის ექსპლუატაციაში ჩაბარება;

3. აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, რა სანქციები უნდა დაეკისროს გამყიდველ ორგანიზაციას.

●

- სამშენებლო კომპანიის იურისტი მიფორმებს ხელშეკრულებას, სადაც გამოკვეთეთილად წერს, რომ შეიძლება მშენებლობა შეჩერდეს ფორსმაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში. რა იგულისხმება ამაში?

- ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენისას საგანგებოდ უნდა იყოს გამოკვეთილი ყველა ის ფორსმაჟორული გარემოება (ომი, წყალდიდობა, დაუძლეველი ძალა და ა.შ. გარემოება). ეს, მართლაც შესაძლოა ქმნიდეს ფორსმაჟორულ ვითარებას, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ის გამოწვეულია მშენებელი ორგანიზაციის ბრალით, მაგალითად თავად კომპანია ვერ ასრულებს სახელმწიფოს ვალდებულებას (რასაც წინ უძღვის სხვადასხვა სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენა), აღნიშნული არ უნდა აძლევდეს კომპანიას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გადავადებას, პასუხისმგებლობისგან გაქცევის საშუალებას.

●

- როგორც ვიცი, ძველი კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალული არ იყო ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება, რაც სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევდა, ექსპლუატაციაში მიუღებელი ფართის რეალიზაციის გზით ეწარმოებინათ საკუთარი ბიზნესი, ხოლო მყიდველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ესარგებლათ ამ ტიპის ქონებით – განეხორციელებინათ სარემონტო სამუშაოები, დაეწყოთ ფართით სარგებლობა და ა. შ. რა შეიცვალა კანონმდებლობაში?

- 2021 წლის 12 ივლისის ცვლილებით, სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსს დაემატა **139 პრიმა** მუხლი, რომლის მიხედვითაც: „დაუშვებელია შენობა-ნაგებობის ფუნქციონირება ამ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ შესაბამისი აქტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემამდე“. რაც ნიშნავს იმას, რომ 2021 წლის შემდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ფართის რეალიზება უკანონოდ ითვლება, ვიდრე არ მოხდება კორპუსის ე. წ. განშლა და ექსპლუატაციაში მიღება.

ტელ: 555 75-04-45

„როკი“, ანუ გზა სამშობლოსაკენ

*ჩინებულ პოეტს, **შუკო ჯიქიას** აქვს ასეთი სტრიქონი: **„ვტოვებთ სხეულებს და ვიხევთ ცისკენ“**. ზუსტად ამგვარია ჩემი ძმობილის, ზეზეურად ჯვარცმული, აწ ნეტარი **შაქრო ჭითანავას** სრბოლა მარადიული სასუფევლისკენ. დიახ, მე მოვნათლე იგი როკად — ძელქვა პიროვნებად, ნაჯახს რომ არ იკარებს; ისეთ კაცად, რომელმაც უკან დახევა არ იცის. ცნობილი მიზეზის გამო ჩვენ ვერ შევძელით მის სიცოცხლეში აღნიშნული რომანის თარგმნა ინგლისურ ენაზე; ვერც კინოსცენარის შექმნა მოვახერხეთ, რათა ჰოლივუდს კარზე მივდგომოდით გასაოცარი პოტენციალის ეკრანული მასალით. თუმცა, ამ დღეებში დაზუსტებით გამოიკვეთა ერთი რეალობაც: მისი მხოლოდშობილი ვაჟი, **ნიკა (ნიკოლოზ) ჭითანავა** მზად არის, ამ საქმეს უნარიანად გაუძღვეს აშშ-ში და ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ერთი ერგეტელი ბიჭუნას გულის შემძრავი ისტორია.*

გური ოტობაია

ვირჯინია ვულფი თავის ნარკვევში „თანამედროვე პროზა“, ლიტერატურის წარმომადგენლებს ურჩევდა, აღეწერათ ატომები, რომლებიც გონებას აწვიმს, თანაც იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც ისინი მას ეცემა. მაგრამ ეს მხოლოდ მისი მოგონილი მოთხოვნები არ იყო, ისინი დრომ მოიტანა. ტერმინი „ცნობიერების ნაკადი“, რომელიც პირველად ამერიკელმა ფსიქოლოგმა უილიამ ჯეიმსმა 1880 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ გამოიყენა, ლიტერატურას არ უკავშირდებოდა, მაგრამ საკითხი ადამიანის არაცნობიერის უწყვეტობის შესახებ სწორედ აქ დადგა. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი პირობითია, რადგან ამ ტიპის ლიტერატურას ადამიანის არა ცნობიერი, არამედ უფრო არაცნობიერი აინტერესებს. ფიქრები არაცნობიერშია შენახული და მათ პერსონაჟის გარკვეული ემოციები გამოიხმობს, როგორც, მაგალითად, ჯეიმს ჯოისის რომანში „ულისე“, სადაც მწერალმა, პირობითად, შეიმუშავა „ცნობიერების ნაკადის“ კონცეფცია. როგორც ცნობილია, ეს მეთოდი თეორიულად არ არის გამყარებული.

ქართულ ლიტერატურაში „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდით, მისი კლასიკური გაგებით დაწერილი ნაწარმოებები, ფაქტობრივად, არ გვხვდება, მაგრამ ქართველი მწერლის, ჭოლა ლომთათიძის 1907-1914 წლებში დაწერილ მოთხრობებში: „სახრჩობელას წინაშე“, „საპყრობილეში“, „პირველი მაისი“, „ჩემი დღიური“, „თეთრი ღამე“ შეინიშნება „ცნობიერების ნაკადის“ ელემენტები.

გური ოტობაიას რომანი „როკი“ არის მეორე წიგნი ტრილოგიისა „ოდაბადე, როგორც ასეთი“ (თბილისი, მერანი, 1998, გვ. 896). მეორე გამოცემა 2019 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „საარში“, რედაქტორი ელზა მეტრეველია. ამ წიგნში „ცნობიერების ნაკადს“, დროდადრო შინაგან მონოლოგს, ავტორი მიმართავს მთავარი პერსონაჟის ასოციაციური და რემინისცენციური აზროვნების ხაზგასასმელად, მისი ინტელექტის წარმოსაჩენად.

როკი ოდიშელიას ბუნებრივი ნიჭი, ძლიერი ხასიათი, პიროვნული თვისებები ქვეყანამ ვერ გამოიყენა, სწორედ ეს უნდა შეგვაგრძნობინოს გური ოტობაიამ მთელი თავისი ტრაგიზმითა და სისავსით. თუმცა, ამაზე მნიშვნელოვანი ეპოპეაში მთავარი გმირის მრავალმხრივი, რთული პიროვნების ცხოვრების გზა და მისი განზოგადებაა. სხვა რეალობაში როკის მსგავსი ძლიერი, გამორჩეული ადამიანები რადიკალურად განსხვავებულად შეძლებდნენ პიროვნულ ფორმირებას, საკუთარი ადგილის პოვნასა და რენომეს შექმნას. ის არაერთი ცნობილი პერსონაჟის მსგავსად, გარემოების ერთგვარი მსხვერპლია და მისი დახატვით მწერალი იმ ქრონოტოპოსს, იმ რეალობას გვიხატავს, რომელშიც ათწლეულების განმავლობაში ცხოვრობდა საქართველო. მოდერნისტული მხატვრული ხერხების მიღმა, სწორედ რეალისტური მიდგომა და ტრადიციული თხრობის მეთოდია „როკის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე.

პოეზიიდან პროზაში მოსული მწერალი რომანის ეპიზოდებს ლირიკული წიაღსვლებითა და პასაჟებით ამრავალფეროვნებს, რაც ნაწარმოების მთლიანობას სულაც არ არღვევს, პირიქით, აადვილებს ამ მოცულობით დიდი წიგნის კითხვას.

რომანის ვრცელ დიალოგებში, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი და ინსტიტუციური მოწყობის ავტორისეულ პოზიციას ვეცნობით, მეორე მხრივ კი, წარსულის ერთგვარ რეფლექსიას, ანალიზს. მწერალი ხან პირდაპირ, ხანაც პერსონაჟების საუბრებში, მათი მეშვეობით გვთავაზობს რომანის სათქმელსა და პოზიციას! „როკიში“ ეს სათქმელი ძირითადად, კონკრეტული შინაარსით არის გადმოცემული. წიგნს ეტყობა ავტორის განათლებაცა და ერუდიციაც, „როკი“ ინტელექტითა და სამშობლოზე ფიქრით გაჯერებული რომანია. მწერალი მხატვრული ეფექტის მიღწევას მდიდარი ლექსიკით, არქაიზმისაკენ მიდრეკილი მეტყველებითა და მეგრული სიტყვების ლიტერატურულ ქართულ სივრცეში შემოტანით ცდილობს. სადაცა და არტისტულიც, — ასე შეიძლება დავახასიათოთ ამ რომანის მიხედვით, გური ოტობაიას მხატვრული სტილი.

მსოფლიო ამ ბოლო დროს ჰოლოკოსტის ტრავმული მეხსიერების კვლევით არის დაკავებული. ამ ტერმინით 1933-1945 წლებში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლებისა და მისი მოკავშირეების მიერ ევროპის ტერიტორიაზე ებრაელების, ბოშების, საბჭოთა ტყვეების, შავკანიანი გერმანელების, პოლონელი ინტელექტუალების და სხვა უმცირესობების მიმართ განხორციელებული გენოციდი აღინიშნება. არანაკლებ საინტერესოა საბჭოური კოლონიების რეალობები, სადაც ათასობით ადამიანი იტანჯებოდა. გულაგი ბანაკების მთავარ სამმართველოს ნიშნავდა (**ГУЛАГ - Главное Управление ЛАГерей**). საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გულაგის პირველი ბანაკები 1918 წელს გაჩნდა. საბანაკო სისტემის შექმნის მთავარი პრინციპი ის იყო, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეები იზოლირებული უნდა ყოფილიყვნენ პოლიტპატიმრებისაგან, სწორედ ამ უკანასკნელებისათვის შეიქმნა გულაგი — ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ბანაკები“. 1918 წლიდან სსრკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „იძულებითი სამუშაო ბანაკების“ შექმნის შესახებ, რომელშიც პირველად გაიჟღერა აზრმა, რომ ბანაკებისა და ადმინისტრაციის ხარჯების უზრუნველყოფა პატიმრების იძულებითი შრომის შედეგად უნდა მომხდარიყო. შემდგომში საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პლაცდარმი გახდა. რამდენად მოსწონდა ეს ხალხს, არავინ კითხულობდა.

სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“ პირველი წიგნი იყო, რომელიც ამ ტაბუირებულ თემას შეეხო. დასავლეთში გამოქვეყნდა 70-იანი წლების დამდეგს, სოლჟენიცინის ყველაზე ცნობილ ნაშრომს ატლანტიკის ორივე მხარეს უზარმაზარი გამოძახილი მოჰყვა.

გულაგების ყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ვარლამ შალამოვის „კოლიმური მოთხრობები“. შალამოვი ამბობდა: „მე იმდენად ვწერ ლაგერზე, რამდენადაც ეგზიუპერი — ცაზე, მელვილი — ზღვაზე“; „რომანი მოკვდა და ამქვეყნად ვერავითარი ძალა მკვდრეთით ვერ აღადგენს ამ ლიტერატურულ ფორმას. ადამიანებს, რომლებმაც გამოიარეს რევოლუციები, ომები და კონცლაგერები, არაფერი ესაქმებათ რომანთან. გამოგონილი ცხოვრების აღწერა, ხელოვნური კოლიზიები და კონფლიქტები აღიზიანებს მკითხველს“. შალამოვი შეულამაზებლად, დოკუმენტურად აღწერს რეალობას, რომელიც ადამიანს ვერანაირ გამოცდილებას ვერ აძლევს. გური ოტობაიას მეორე რომანშიც არის აღწერილი გულაგების შემაძრწუნებელი ისტორიები.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი როკის პროტოტიპი „ჩორნაია პანტერა“ — შაქრო ჭითანავაა, რომელსაც მწერალი პირადად იცნობდა, ნაწარმოებს ნამდვილი, ავთენტური ამბები დასდებია საფუძვლად. პირწმინდად დოკუმენტურ პროზად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის ნაწარმოები ნამდვილად არის. უამრავი ამბავი, სიუჟეტური ხაზი ერთ კომპოზიციურ მთლიანობას ქმნის, ნაწარმოების არქიტექტონიკა უზუსტესი და მოქნილია. მწერალი ე. წ. წრიულ პრინციპს იყენებს, თხრობაც მთავარი პერსონაჟის 14-წლიანი პატიმრობის დასრულების შემდეგ იწყება.

„როკი“ არის ერთგვარი ეპოპეა, ჟანრული რომანი, რომლის ცენტრში დგას როკი ოდიშელია — ძლიერი პიროვნული თვისებებით, გამოკვეთილი ხასიათით,



ინდივიდუალობით. მიუხედავად იმისა, რომ მწერალს უყვარს თავისი პერსონაჟი, ის არ არის გაიდეალებული. ამიტომაც არ ჰგავს სქემებს, ნამდვილი, ცოცხალი პერსონაჟია. როკი ოდიშელიამ საპყრობილეში ზუსტად იცის, სად უნდა იდგეს, ადვილად არჩევს თეთრსა და შავს, ნათელსა და ბნელს, ამიტომაც ტყვეობაში მყოფი გაუტეხელი, მთლიანი, უდრეკი, შეიძლება ითქვას, ჰარმონიული პიროვნებაც კია, მაგრამ ეს მთლიანობა ირღვევა გარეთ, როცა ის შუბლით ეჯახება რეალობას. რეალობა, რომელიც არაფრით განსხვავდება ტყვეობისგან, დაუნდობელი და ქაოსური. სინამდვილე დიდად არ განსხვავდება საბჭოური გულაგებისგან.

შემთხვევითი არ არის რომანის აფხაზური თემით დასრულება, ერთგვარი წინასწარჭვრეტა იმისა, რაოდენ ტრაგიკულად განვითარდებოდა მოვლენები. გულშიჩამწვდომია აფხაზი ქალების მიმართ სამი ვაჟიშვილის დედისა და რვა შვილიშვილის ბებიის, ვერა მარშანია-ავიძბას მიმართვა. ამ აფხაზმა ქალმა, რომლისთვისაც სწორედ აფხაზური ტრადიციებია სისხლხორცეული, ზუსტად იცის, რასაც მოიტანს გუდაუთური იდეოლოგია და „ლიხნის წერილი“. მე მაინც ღია ფინალს უფრო ვხედავ ამ რომანში, მოდერნისტული რომანისტიკისათვის დამახასიათებელს. ამის თქმის უფლება იმედად და სასოდ აღმართული ილორის წმინდა გიორგის ტაძრის გამოჩენა მაძლევს, სწორედ კაბადოკიელი ლაზის სახელობის ეკლესიასთან ასრულებს გური ოტობაია თავისი საყვარელი პერსონაჟის სულისშემძვრელ თავგადასავალს! ჟანრული ნომინალიზმისა და დიდი რომანების, ეპოსების მივიწყების ეპოქაში გური ოტობაია ისევ მონუმენტური, მოცულობითი, მასშტაბური მხატვრული ტილოების ერთგულებით გამოირჩევა, სწორედ ამის დასტურია მისი რომანი „როკი“.

მარინე ტურავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საბანკო სკანდალები შვეიცარიაში

შვეიცარიის პოპულარული ბანკები პერიოდულად ეხვევიან ხმაურიან სკანდალებში, რომლებიც ფულის გათეთრებასთან და ფინანსურ მაქინაციებთან არის დაკავშირებული. ამასთან, შვეიცარიული ბანკინგის პოპულარობა მაინც უმაღლეს დონეზე რჩება, მიუხედავად მსოფლიო დამკვირვებლებთან კონფლიქტისა და რეგულატორის შეუტყობინებლობის გარეშე კლიენტთა ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა.

(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N3)

კორპორატიული შპიონაჟი

Credit Swiss-ის აღმასრულებელი დირექტორი ტიჯან ტიამი თავის თანამშრომლებთან ერთად მხილებული იყო შპიონაჟში 2020 წელს, რის გამოც იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა. როგორც გაირკვა, ბანკმა კერძო დეტექტივების მომსახურებით ისარგებლა, რათა აქტივების მართვის სამმართველოს ხელმძღვანელისთვის იკბალ ხანისთვის და კადრების განყოფილების ხელმძღვანელისთვის, პეტერ გიორკესთვის ეთვალთვალათ.

ჩატარებული გამოძიების შემდეგ ფინანსური ბაზრების ზედამხედველობის შვეიცარიულმა სამმართველომ განაცხადა, რომ შპიონური ოპერაციები ბანკმა შვიდჯერ დაგეგმა, რომელთა უმრავლესობა 2016-2019 წლებში განხორციელდა.

თინუსის ობლიგაციები

მოზამბიკის რესპუბლიკამ შვეიცარიული ბანკიდან მიიღო სესხი აშშ-ის 1,3 მლრდ დოლარის ოდენობით, რომლებიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, არამიზნობრივად დაიხარჯა. თანხის უმრავლესობა უკვალოდ გაქრა, ნაწილი **Credit Swiss**-ში დაუბრუნდათ ბანკირებს „ატკატის“ სახით მომავალში ხელსაყრელი საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველყოფის მიზნით.

ასეთი შუამავლობისთვის შვეიცარიული ბანკი 2021 წელს დაახლოებით 350 მლნ გირვანქა სტერლინგით დაჯარიმდა.

სესხი მოზამბიკის რესპუბლიკას მიეცა საინვესტიციო სქემების განსახორციელებლად, მათ შორის, ზღვაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და თინუსის რეწვისთვის.

2023 წლის სკანდალი

2023 წელს **Credit Swiss**-ი ახალი სკანდალის მონაწილე გახდა, რომელიც ამ ბანკის კლიენტებს უკავშირდება. საგამოძიებო ორგანოების კონსორციუმმა, ჟურნალისტებმა და მასმედიის სხვა საშუალებების წარმომადგენლებმა მიიღეს წვდომა ბანკის დახურულ ინფორმაციაზე და გამოაქვეყნეს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის ანგარიშში 2022 წლის 20 თებერვალს.

სწორედ აქედან დაიწყო შვეიცარიული საბანკო სკანდალი, რადგან გამოქვეყნდა 30 ათასზე მეტი კლიენტის 18 ათასზე მეტი საბანკო ანგარიშის მონაცემები. რომელთა შორის არამხოლოდ მდიდარი უცხოელები და ცნობილი პიროვნებები იყვნენ, არამედ საეჭვო ადამიანებიც, რომლებიც დანაშაულებრივ სამყაროსთან იყვნენ დაკავშირებული.

2022 წლის ბოლო სამ თვეში ბანკის ბევრმა კლიენტმა საკუთარი ანგარიშებიდან თანხების გატანა დაიწყო და შვეიცარიულ საბანკო გიგანტთან თანამშრომლობა შეწყვიტეს (ანგარიშებიდან გაედინა 110,5 მლრდ შვეიცარიული ფრანკი, ანუ 120,29 მლრდ დოლარი), ხოლო 2023 წლის მარტის დასაწყისში შვეიცარიული ბანკის აქციების ფასი 11%-ით დაეცა.

Credit Swiss-თან რამდენიმეწლიანი დავა ჰქონდა ბიძინა ივანიშვილსაც, რომელმაც აღნიშნული საქმე მოიგო. ივანიშვილმა ჩრედიტ შუისსე-ს სინგაპურში ბრალი დასდო იმაში, რომ მან ვერ შეძლო მისი ინვესტიციების დაცვა და „სათანადო ზომების მიღება“ ...

2024 წლის 31 ოქტომბერს **Bloomberg**-ი წერდა, რომ „სინგაპურის სასამართლომ შვეიცარიული **Credit Suisse**-ის ადგილობრივ „შვილობილ“ კომპანიას დააკისრა 742,7 მილიონი დოლარის გადახდა ბიძინა ივანიშვილისთვის“.

თავდაპირველად, სექტემბრის ბოლოს, ბანკს 743 დოლარი მილიონი დაეკისრა, 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ეს თანხა 461 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

CREDIT SWISS-ი და ნაცისტები

ამ დღეებში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **Credit Swiss**-ს ნაცისტებთან იმაზე მჭიდრო კავშირები ჰქონდა, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი. ამის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას **The Wall Street Journal**-ი ადრე დახურილი არქივებში არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც დღეისთვის ხელმისაწვდომია.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, ბანკი არ ამხელდა ინფორმაციას ნაცისტების ანგარიშების შესახებ და ნაწილობრივ ხელს უშლიდა გამოძიების მსვლელობას. 2021 წელს დამოუკიდებელმა ომბუდსმენმა ნილ ბაროფსკიმ დაიწყო ახალი გამოძიება ნაცისტებთან ბანკის კავშირის გამოვლენის მიზნით, მაგრამ ბანკმა იგი გამოძიებას ჩამოაშორა.

მოგვიანებით ბაროფსკი თანამდებობაზე აღადგინეს. გამოძიების მსვლელობისას პირველად იქნა აღმოჩენილი „ინფორმაცია ათობით ფიზიკური და იურიდიული პირის შესახებ, რომლებიც ნაცისტების არაადამიანურ დანაშაულთან იყვნენ დაკავშირებული“, კერძოდ, 99 ცნობილი ნაცისტისა და მათი პარტნიორების ვინაობის დადგენის მიზნით წინასწარი ძიებისას მათ შორის 13 დამთხვევა გამოვლინდა. ამ დროისთვის გამოძიება გრძელდება.

„ახალი გამოძიების მსვლელობისას, რომელშიც ჩართული არიან ბანკის ის თანამშრომლები, რომლებიც 1990-იან წლებში მიმდინარე გამოძიებაში მონაწილეობდნენ, აღმოჩნდა, რომ ბანკი ბევრ ინფორმაციას მალავდა“, — ნათქვამია პუბლიკაციაში. ადრე შვეიცარიის ბანკები მთავარ რისკებად მიიჩნევდნენ სხვა ქვეყნების მიმართ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს, რუსეთ-უკრაინის კრიზისს, ვალებთან დაკავშირებულ აშშ-ის შესაძლო კრიზისს, ასევე, ევროკავშირს, რუსეთსა და ჩინეთს შორის არსებულ დაძაბულობას.

რა არის შვეიცარიული საბანკო სკანდალი?

შვეიცარიულ ბანკებთან დაკავშირებული სკანდალი — ეს არასამართლებრივი ქმედებების და/ან ბენეფიციარების ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შესახებ გამოვლენილი ფაქტები, სადაც ასეთი ხასიათის დარღვევებია აღმოჩენილი. როგორც წესი, შვეიცარიულ ბანკებთან დაკავშირებული სკანდალების უმეტესობა იმ პირებს უკავშირდება, რომლებიც ფინანსურ ინსტრუმენტებს არაკანონიერი გზით მიღებული ფულის შენახვისა და გადარიცხვისთვის, ან გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით იყენებენ.

2023 წლიდან მსოფლიო პოლიტიკაში სრულიად განსხვავებული წესები დამკვიდრდა. თითოეული კლიენტი უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ მოთხოვნებს, მათ შორის ისეთს, რომელიც სიმდიდრის წარმომავლობას და საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გადასახადების გადახდას ადასტურებს. როცა შვეიცარიის ბანკები ისეთ კლიენტებს მალავენ, რომლებიც ამ წესებს არ ემორჩილებიან, ჟურნალისტები ან საერთაშორისო სამართლებრივი სტრუქტურები აღმოაჩენენ ხოლმე საბანკო სისტემის გაუმართავობას და ჩნდება კონფლიქტი, რომელსაც შედეგებად კლიენტების ანგარიშების დაბლოკვა, ანგარიშების გაყინვა, შვეიცარიული ბანკისთვის ჯარიმის დაწესება და სხვა მკაცრი რეგულაციები მოჰყვება.

ბელა გველესიანი

კრუბერის მღვიმე – ხელოვნურად შექმნილი საიდუმლო შახტები

(დასასრული.
დასაწყისი „სგ“ N3)

კრუბერის მღვიმეში ბევრი ექსპედიცია ჩატარდა, რის შემდეგაც ამერიკელებმა შეძლეს შეედგინათ მოცულობითი გეგმა, რომელიც მღვიმის აგებულებას ასახავს. შედეგების დიდი ნაწილი და ლაბორატორიის მდებარეობა ამ შემთხვევაშიც უცნობია — საკითხავია, მათგანაც გასაიდუმლოებულია, თუ ვერ მიაკვლეს.

არსებობს ვერსია, რომ კრუბერის სიღრმეში არის სივრცე, რომლიდანაც კასპიის ზღვაზე გასასვლელი არსებობს.

კრუბერის მღვიმის შესახებ საუბარი არ წყდება, თუმცა სიახლე არაფერია. აფხაზეთის ტურისტული კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ კრუბერზე ტურისტები არ მიჰყავთ. არის რაღაც ინფორმაცია, მაგრამ ის ჩვენთვის მიუწვდომელია, მხოლოდ მეცნიერები და გეოლოგები ინტერესდებიან მისითო. ეშერის ლაბორატორია ძალზე გასაიდუმლოებულია, რის გამოც არგუმენტირებული პასუხის გაცემა არავის შეუძლია.

ცნობილი ამბავია, 1972 წელს

ეშერას ლაბორატორიაში ჩაუშვეს მეცნიერთა კომისია, რომელთა შორის იყვნენ ჯუმბერ ლომინაძე, გერმანე გობეჯიშვილი, ვახტანგ აბაშიძე და კიდევ რამდენიმე მეცნიერი. ბატონმა ჯუმბერმა პირად საუბარში თქვა, რომ საქართველოს ქვეშ გიგანტური ლაბორატორიაა, სადაც გენეტიკური ექსპერიმენტები ტარდებოდა რამდენიმე ათწლეულის წინათ. ლაბორატორიაში რამდენიმე ჩასასვლელი ყოფილა, რომლებიც შემდგომ წყლით ამოავსეს.

მაგალითად, ჩემს ახალგაზრდობაში ამბობდნენ, რომ ეშერას ლაბორატორიაში ადამიანისა და პრიმატების შერწყმის ექსპერიმენტები ტარდებოდა, მაგრამ ეს ცდები შეწყდა, რადგან ყველანაირად დადასტურდა, რომ ადამიანი და მაიმუნი ერთმანეთს არ ერწყმის.

მოვიძიე ინფორმაცია, რომ საბჭოთა ბიოლოგი ილია ივანოვი (1870-1932) წლების განმავლობაში განსხვავებული სახეობების შეჯვარების პროექტებზე მუშაობდა და წარმატებით შეაჯვარა ზებრა და ვირი, ბიზონი და შინაური ძროხა, თაგვები და ვირთხები და ა. შ. მან დაამტკიცა, რომ მისი ტექნოლოგია საშუალებას იძლეოდა, ერთ ულაყს 20-30-ის ნაცვლად 500-მდე ფაშატი გაენაყოფიერებინა. პრაქტიკულად, მან პირველმა წამოიწყო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერება.

ივანოვი სპეციალურად გაემგზავრა აფრიკაში, რათა უცნობი მამაკაცი დონორის სპერმით მდედრი შიმპანზეები ხელოვნურად გაენაყოფიერებინა. ექსპერიმენტი სამ შიმპანზეზე ჩატარდა და წარუმატებლად დამთავრდა, ერთი შიმპანზე მალევე მოკვდა, ორი ვერ განაყოფიერდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა ივანოვმა ჩამოიყვანა 30 შიმპანზე, რომლებიც სოხუმის პრიმატების სადგურში განათავსა. ამჯერად ექსპერიმენტის ჩატარება მან პირუკუ გადაწყვიტა — მამრი შიმპანზის სპერმით ქალის განაყოფიერება. საოცარი და საინტერესო ის არის, რომ საბჭოთა კავშირში ბევრმა ქალმა გამოთქვა სურვილი, რომ ამ ექსპერიმენტის მონაწილე გამხდარიყო.

1930 წელს სოხუმის ექსპერიმენტიც კრახით დასრულდა. ამის შემდეგ ივანოვის კრიტიკა და პოლიტიკური დევნა დაიწყო. იმავე წლის დეკემბერში დააკავეს კიდეც და გადაასახლეს ყაზახეთში, თუმცა იქაც ზოოვეტრინალურ ინსტიტუტში მუშაობდა და 62 წლის ასაკში მალევე გარდაიცვალა ინსულტის დიაგნოზით.

ყოველმხრივ ამოტრიალდა დარვინის მოძღვრება მაიმუნისგან ადამიანის წარმოშობის შესახებ. ჩემი წინაპარი იმთავითვე ადამიანი იყო, ხოლო თუ ვინმეს წინაპარი მაიმუნი იყო, საკუთარ სისხლისმიერ ინდივიდებთან ამტკიცოს აბსურდები...

ეშერას ლაბორატორიაში ჩასასვლელების შესახებ ბევრ ადამიანს სმენია და შემთხვევით იდუმალ ტერიტორიაზეც მოხვედრილა, მაგრამ წარმოდგენა არ აქვს, რა იცის, რა ნახა, ხოლო თუ შენ ეტყვი, აუხსნი, მეზღაპრედ მიაჩნიხარ...

1965 წელს, მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოში დაზვერვითი გეოლოგიური სამუშაოები დაიწყო ხარაგაულის მიდამოებში. სადაზვერვო დაბურღვითი სამუშაოების დროს, მოულოდნელად, ბურღი სიცარიელეში ჩავარდა. როდესაც „უცნაურ ადგილში“ სპეციალური აპარატი ჩაუშვეს, „სიცარიელეში“ წყალი აღმოჩნდა. სადაც ბურღი გადაიტანეს, ახლომახლო, ყველგან წყლით ამოვსებული სიცარიელე დახვდათ. როდესაც ეს ამბავი მიმდებარე სოფლებში გაიგეს, ადგილობრივებმა მეცნიერებს აჩვენეს გამოქვაბულები, საიდანაც მიწისქვეშეთში ხვრელები ჩადიოდა. რამდენიმე მკვლევარი ჩავიდა მითითებულ ადგილებში და სენსაციური ამბავი ამოიტანეს — მიწისქვეშეთში ნათლად იყო გამოკვეთილი ხელოვნური ზემოქმედების კვალი. მათი თქმით, მიწის ქვეშ გიგანტური მეგალითური ბლოკებით ამოყვანილი იყო შახტები, რომლებიც სიღრმეში მიემართებოდა. ამის შემდეგ, მოსკოვიდან მიღებული ბრძანების საფუძველზე, წამოწყებული სამუშაოები სასწრაფოდ დაკონსერვდა და იქაურობა აკრძალულ ზონად გამოცხადდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, მოსკოველმა მკვლევარებმა ჩაატარეს კვლევები და დაასკვნეს, რომ საქართველოს ქვეშ გიგანტური სიცარიელეა, რომელიც წყლით არის ამოვსებული და ყველა ჩასასვლელი დალუქულია.

იმთავითვე ცნობილი ჩასასვლელებია: ეშერადან, მარტვილის მიმდებარე კლდეებიდან, ხარაგაულის ნაკრძალიდან, რაჭის სოფელ ღებიდან, იალბუზის მთაზე მდებარე ხეობა ბაქსანიდან და ხვამლის მთიდან, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მისტიკურ მთად არის აღიარებული და საიდუმლოებებით არის მოცული.

არაერთი სანდო წყარო ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უამრავი საიდუმლო მასალა გაიყიდა უცხოეთში. მათ შორის, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში მიწისქვეშა ატომური ლაბორატორია არსებობდა.

მოგვიანებით, „დისქავერმა“ საქართველოში არსებული სავარაუდო საიდუმლო ადგილების შესახებ ფილმი გადაიღო, თუმცა ფილმი არავის უნახავს და არც იმის შესახებ უთქვამს გადამღებ ჯგუფს არაფერი, თუ რატომ დაიბლოკა ფილმის ჩვენება.

მოარული ხმებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში, მოლაპარაკებაც მიმდინარეობდა მაღალ დონეზე, რომ აფხაზეთი საქართველო იქნებოდა, მაგრამ ეშერას ტერიტორიას კვლავ რუსეთი გააკონტროლებდა.

საქმეში ჩაუხედავი და ამ კუთხით გაუნათლებელი ადამიანები ქილიკობენ და ყოველივე ზემოთქმულს მოჩმახულ ამბებს უწოდებენ, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტებს, რაც არსებობს და დიდი ეჭვია, რომ რეალურად რაღაც დიდ საიდუმლოს ვეხებით. პირთა ჯგუფს რომ უადგილოდ არ გამოეჩინა საქართველოს დამაზარალებელი „პატრიოტიზმი“, ეშერა კი არა, აფხაზეთიც არ დაიკარგებოდა...

ცნობილი ამბავია, რომ ჰიტლერს ოკულტისტების ნაამბობით სჯეროდა მაშინდელი საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი რაღაცის არსებობისა, რაც მას მსოფლიო მბრძანებლობას შეაძლებინებდა...

ჩემი ნაცნობი გოგონა მუშაობდა ეშერას ლაბორატორიაში და ის ამბობდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა სამუშაოები მიმდინარეობდა ლაბორატორიის ქვედა სართულებზე, მომსახურე პერსონალს ერთმანეთთან არანაირი შეხება არ ჰქონდა, თურმე სახეზეც კი არ ცნობდნენ ერთმანეთს.

კრუბერის მღვიმე მსოფლიოში სიღრმით მეორეა ვერიოვკინის მღვიმის შემდეგ, რომელიც ასევე, აფხაზეთში მდებარეობს. მღვიმეს რუსი გეოგრაფის, ალექსანდრ კრუბერის პატივსაცემად უწოდეს. კრუბერის მღვიმე ზღვის დონიდან 2320 მეტრზეა და მის ჭისმაგვარ ყელში ჩასვლა მხოლოდ სპეციალური მოწყობილობით არის შესაძლებელი. 2012 წელს უკრაინელმა გენადი სამოხინმა მღვიმის უღრმესი წერტილი გაზომა, ასე დაფიქსირდა მისი სიღრმე — 2199 მეტრი. მღვიმეში მინიატურული სტალაქტიდები, სტალაგმიტები, ფარდები, წყლის ნაკადები და პატარა ტბეებია. კრუბერის მღვიმის წყლებით მდინარე რეპრუა საზრდოობს. იმ ცოცხალი არსებებიდან, რაც მღვიმეში ჩასულებმა ნახეს, ჩვენთვის ნაცნობი ჭიები, ხოჭოები და სხვა სახის მწერები არიან.

ვერიოვკინის მღვიმე კრუბერის მღვიმეზე მხოლოდ 13 მეტრით ღრმაა, თუმცა კრუბერის სიღრმეში ჯერ არავინ ჩასულა და არავინ იცის, რა სიღრმისაა. საფუძვლიანი ეჭვია, რომ კრუბერის მღვიმე პირველ ადგილზე გადაინაცვლებს.

მსოფლიოში უღრმესი მღვიმეების ჩამონათვალი ასეთია:

ვერიოვკინის მღვიმე, სიღრმე 2212 მ, საქართველო;

კრუბერის მღვიმე, სიღრმე 2199 მ, საქართველო;

სარმის მღვიმე, სიღრმე 1830 მ, საქართველო;

თოვლიანი უფსკრული, 1760 მ, საქართველო.

კრუბერის მღვიმის შიდა აღწერილობა საოცრად მაგონებს ანტარქტიდის შეუსწავლელ მიწისქვეშეთს, თუმცა სადამდეც შეძლეს შესვლა, ჩვენი ცივილიზაციის ნამოქმედარს არაფრით ჰგავს. კრუბერის სიღრმეში რა ხდება, არავინ იცის, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ, როგორც სხვაგან, აქაც მიაგნეს სხვა ცივილიზაციის დანატოვარ „რაღაცას“ და მასზე უკვე ჩვენმა თანამედროვეებმა დააშენეს თავიანთი ცოდნა. ანტარქტიდა „სახლაფორთოა“ და შეუძლებელია იქ სხვისგან დამალულად მოქმედება, აფხაზეთი კი ამ მხრივ ადვილი ასათვისებელი იყო და არის, რაც აითვისა კიდეც საბჭოთა და შემდეგ უკვე, რუსეთის ფედერაციამ — რაც ვთქვი, სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია...

დედამიწის სიღრმე კიდევ უფრო საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც იქ მიკრობების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა, რადგან ცნობილი იყო, რომ მიკროორგანიზმები მზის ენერგიის გარეშე არ მრავლდებოდნენ...

მაკა ჯაყელი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაქ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99